ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 9 სექტემბერი, 2011 — №214 (5594) — ფასი: 30 თეთრი

## რუსულმა ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია



გვ.5

# შალვა ნათელაშვილი: „სასწრაფოდ გაიწვიეთ ჯონ ბასი საქართველოდან!“

ლეიბორისტებმა ვაშინგტონს საგანგებო წერილით მიმართეს



გვ.3

## ჯონ ბასი: „ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, მოსახლეობის გადასაწყვეტია“

გვ.3







გვ.4

## გიორგი კობახიძე: „სახალხო კრება ოქრუაშვილთან არ ითანამშრომლებს“

## „კოკოითი თელეევის აფეთქების სანაცვლოდ ფულს იხდიდა“

სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტრო საგანგებო რეჟიმზე გადადის გვ.2

### ვინ ვინ არის



გვ.6

## „უგულავა თბილისელებს აყაჩაღებს“

გვ.2





„მისი საავტომობილო, საავიაციო და საზღვაო გზების კვეთად გადაქცევის იდეა განუხორციელებელია“

## ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონა ვერ შეიქმნება

გვ.6

## საია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს

გვ.2

რუსთავი 2

## 3090
## sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ყვავილის სკოლაში 12 მოსწავლეს 11 მასწავლებელი ჰყავს

გვ.3

## „ქსნის №15 დაწესებულებაში პატიმრებს უმოწყალოდ სცემეს“

გვ.5

ISSN 1987-9385

**3** უმრავლესობა ვიკილიქსის მასალებზე კომენტარს არ აკეთებს

**5** სასამართლომ კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე დაადგინა განაჩენი

**5** „მძიმედ დაავადებული სოსო წიკლაური პატიმრობიდან გაათავისუფლეს“

**7** აფხაზებს სრული განადგურება ემუქრებათ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „კოკოითი თედეევის აფეთქების სანაცვლოდ ფულს იხდიდა“

## სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტრო საგანგებო რეჟიმზე გადადის

ცხინვალი მართლაც შეიარაღებული დაპირისპირების წინაშე დგას. ადრე თუ კოკოითი ასე თუ ისე ახერხებდა მოსახლეობის დაშინებას, ახლა მას უკვე ღიად უპირისპირდებიან და ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მოიმატებს. მოსახლეობას მართლაც ყელში ამოუვიდა კოკოითი და მისი გარემოცვა. დღეს ცხინვალის ქუჩებში უკვე შეხვდებით ასეთ წარწერებს „კოკოითი ქურდია". ასეთი წარწერები მომავალშიც გაჩნდება.


ელდარ თედეევი
კოკოითის პირადი დაცვის თანამშრომელმა სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა

თეა მარხვაი ე

ორი დღის წინ საიტმა „უასამონგამ“ სენსაციური წერილი გამოაქვეყნა. საიდანაც ჩანს, რომ კოკოითის დავალებით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა ძამბოლატ თედეევს. რომელიც კოკოითის მთავარ ოპონენტად ითვლება და საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

გუშინ პორტალმა მორიგი სენსაციური მასალა გამოაქვეყნა. ამჯერად მათ მომხმარებელს ვიდეო-რგოლი წარუდგინეს. კოკოითის პირადი დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ელდარ თედეევი ყვება, თუ როგორ შესთავაზეს მას ძამბოლატ თედეევისა და ალა ჯიოევას ლიკვიდაცია. ეს უკანასკნელი სამხრეთ ოსეთის განათლების მინისტრი იყო. კოკოითისთან დაპირისპირების გაქცევის შემდეგ მას ცხინვალიდან გაქცევამ მოუწია.

ელდარ თედეევი, როგორც თავად ამბობს, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის დაცვის სამსახურში 2008 წლიდან მუშაობდა. მას აქ საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. თანამდებობა ერთი შეთავაზების შემდეგ დატოვა.

— ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ჩემი მოადგილე ვალიკ ნოვიკი. მითხრა, რომ ჩემთან საუბარი უნდოდა. ჩვენ ქალაქგარეთ გავედით. მითხრა, მობილურუბი მანქანაში დავტოვოთ, გადავიდეთ მანქანიდან და ასე ვისაუბროთო. როცა მანქანიდან გადმოვედით მან მაჩვენა ორი ფოტოსურათი. ერთზე ჭიდაობაში რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ძამბოლატ თედეევი იყო გამოსახული, ხოლო მეორეზე — სამხრეთ ოსეთის ყოფილი განათლების მინისტრი. ვალიკმა მითხრა, რომ კოკოითის მათი მოშორება სურდა. მათი მოშორების შემთხვევაში ჩვენ კარგად გადაგვიხდიდნენ. მე ამაზე უარი ვთქვი, რადგანაც მიმაჩნია, რომ მშვიდობიან დროს ვინმეს მოკვლა დაუშვებელია, — აცხადებს ელდარ თედეევი.

როგორც დაცვის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ამბობს, ამ საუბარის შემდეგ მისი ცხოვრება შეიცვალა.



ასეთ წარწერებს ცხინვალში ხშირად შეხვდებით

— ვალიკი ჩემი მოადგილე და მეგობარი იყო. ამის შემდეგ მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ შეიცვალა. როცა მანქანით მივდიოდი სადმე, ვგრძნობდი, როგორ მომდევდნენ მანქანით უკან. გამუდმებით მითვალთვალებდნენ. რაღაც პერიოდის შემდეგ მე ჩავაბარე ჩემი ტაბელური იარაღი და თანამდებობა დავტოვე, — ამბობს დაცვის სამსახურის ყოფილი თანამშრომელი.

მისი მოადგილე ვალიკ ნოვიკი კი თურმე დღემდე თავის თანამდებობაზე რჩება.

— ის იბრძოდა აფხაზეთში, იბრძოდა ჩეჩნეთში, მასზე რუსეთის ტერიტორიაზე ძებნაა გამოცხადებული. ამის გამო ის იძულებულია კოკოითის დავალებები შეასრულოს. ის აფთქებების კარგი სპეციალისტია, — აღნიშნავს ელდარ თედეევი.

ის დარწმუნებულია, რომ 29 აგვისტოს გამთენიისას ცხინვალში მომხდარი აფეთქება კოკოითის დავალებით განხორციელდა.

29 აგვისტოს დილის 4 საათზე ძამბოლატ თედეევის სახლთან აფეთქდა ავტომანქანა „ნივა“. აფეთქების მომენტში სახლში თედეევი, მისი მშობლები და თანმხლები პირები იმყოფებოდნენ. როგორც ოსური მედია იტყობინება, აფეთქებული მანქანა თედეევის თანმხლებ ერთ-ერთ პიროვნებას ეკთვნოდა.

ინციდენტიდან რამდენიმე წუთში იქ სამართალდამცავები გაჩნდნენ და „ნივის“, როგორც ნივთმტკიცების წაყვანას აპირებდნენ. აფეთქების ადრესატები მანქანის გადატანას არ აპირებდნენ. თედეევმა მოსკოვში დარეკა და ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად იქაურებს სთხოვა ჩასვლა. ადგილობრივმა სამართალდამცავებმა მანქანის წაყვანა მხოლოდ „ომონის“ წყალობით შეძლეს.

სამხრეთ ოსეთის გენპროკურორის მოადგილის გენადი კოკოევის მტკიცებით, ეს აფეთქება თავად ოპოზიციონერებმა მოაწყვეს. გამორიცხული არაფერი არ არის. მით უმეტეს, არჩევნების წინ და მით უმეტეს, ცხინვალში. აქ ასეთი რამეები დიდ იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ წინა არჩევნების დროს მოკლეს ძამბოლატ თედეეთის ძმა იბრაგიმი. ის ვლადიკავკაზში რესტორან „ალანდონში“ 2006 წლის ოქტომბერში ჩაცხრილეს. მისი მკვლელი გვარად კოკოევი იყო. ის მოკლულის დაცვის წევრებმა ადგილზე მოკლეს,

იმ დროისთვის კოკოითი და თედეევების კლანი ერთმანეთთან უკვე სერიოზულად იყო დაპირისპირებული. მთელი ამ წლების განმავლობაში იწერებოდა, რომ თედეევის მკვლელობის უკან კოკოითი იდგა. ეს ეჭვები იმანაც გააძლიერა, რომ გასვენებაში კოკოითი არ მივიდა და თავის მშობლები მიაგზავნა.

ამ ჭორებს წერტილი რამდენიმე თვის წინ თავად ძამბოლატ თედეევმა დაუსვა. „მოსკოვსკი კომსომოლეცისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ძმის მკვლელობასთან კოკოითის არანაირი კავშირი არა აქვს.

— ეს ჭორი ჩვენმა მტრებმა მოიგონეს, რათა კიდევ უფრო დავეპირისპირებინეთ ერთმანეთთან, — განაცხადა მან.

მათი დაპირისპირება 9 წლის წინ დაიწყო. არადა 2001 წლის არჩევნები კოკოითის სწორედ თედეევებმა მოაგებინეს. მადლობის ნიშნად მან იბრაგიმ თედეევი უშიშროების საბჭოს მდივნად დანიშნა.

რამდენიმე თვეში მათ შორის სერიოზული დაპირისპირება მოხდა. უშიშროების საბჭოს მდივანი კოკოითიმ თანამდებობიდან გადააყენა. ამის გამო თედეევებმა, როგორც ამბობენ, კოკოითის სცემეს. ცემა-ტყეპა არც მომავალშია გამორიცხული. მთავარია ეს ორი ერთმანეთს საცემ მანძილზე მიუახლოვდნენ.

ცხინვალში რომ არეულობაა მოსალოდნელი, ამას სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტროც ადასტურებს. მოსალოდნელ არეულობასთან დაკავშირებით მათ გუშინ საგანგებო განცხადება გაავრცელეს.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო პერიოდში მთელი რიგი ჯგუფები, ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით ბინძურ კამპანიას აწარმოებენ. ამ კამპანიის ფარგლებში შედის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით „სენსაციური“ მასალების გამოქვეყნება, რომლებიც სიმართლეს არ შეეფერება. ამით ოპოზიციონერები ცდილობენ ხელისუფლების „კომპრომეტირებას“, — აცხადებს სამხრეთ ოსეთის უშიშროების სამინისტრო.

ოსური სპეცსამსახურების განცხადებით, ბოლო დროს მთელი რიგი ოპოზიციური პარტიები ცხინვალში ათასგვარ ინფორმაციას ავრცელებენ და პანიკას თესავენ.

— ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ამით სიტუაციას ძაბავენ და ქვეყანა შეიარაღებული დაპირისპირების ზღვარამდე მიჰყავთ. ეს კი რესპუბლიკის დისკრედიტაციას მოახდენს, — ნათქვამია საგანგებო განცხადებაში.

უშიშროების სამინისტრო ყველას აფრთხილებს, რომ თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან. იმათ კი, ვინც პროვოკაციებს თავს არ დაანებებენ, კანონის სრული სიმკაცრით ჰპირდებიან დასჯას. და ამიერიდან საგანგებო რეჟიმით აპირებენ მუშაობას.

## საია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ მარეგულირებელ კომისიაში საჩივრის შეტანას აპირებს.

როგორც საიას თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, საქმე ეხება „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება „კურიერში“ საიას მიერ ნიკა კვინტრაძის დაღუპვასთან დაკავშირებით გავრცელებული მტკიცებულებების გაშუქების ფაქტს. ჩუგოშვილის განმარტებით, სიუჟეტში იყო ნახსენები „საიას მიერ ჩატარებული გამოძიება“, რეალურად კი ახალგაზრდა იურისტებს გამოძიება არ ჩაუტარებიათ, მათ მხოლოდ ბრიტანულ ექსპერტიზის ბიუროს კვინტრაძის ფოტოების ანალიზის გაკეთება შეუკვეთეს. გარდა ამისა, სიუჟეტში ტელეკომპანიამ გამოიყენა ფოტო (გამოსახულია ლურჯ ზედატანიანი პირი), რომელიც საიას 6 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე საერთოდ არ წარმოუდგენია. სიუჟეტში გაშუქდა, რომ თითქოს საიამ ბრიტანულ ბიუროს სწორედ ამ ფოტოს და კვინტრაძის საპასპორტო სურათის შედარება შეუკეთა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

მედიანიუსი

## „უგულავა თბილისელებს აყაჩაღებს“

პოლიტიკური მოძრაობა თავისუფალი საქართველო და თავისუფალ ასოციაციათა კავშირი თბილისში ავტობუსების ძველი ხაზების აღდგენას ითხოვენ.

როგორც გუშინ კოლმეურნეობის მოედანზე გამართულ ბრიფინგზე თავისუფალი საქართველოს ლიდერმა კახა კუკავამ განაცხადა, თბილისში ავტობუსების ხაზების შემცირებისა და შემოკლების გამო მოსახლეობას ერთი უბნიდან მეორეში გადაადგილებისათვის ორჯერ უწევთ ფულის გადახდა.

თავისუფალ ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელის ალექსანდრე შალამბერიძეს განცხადებით, ქალაქში ავტობუსების ხაზების ერთიანი სისტემის დარღვევით გამოწვეული პრობლემა მთლიანად დააწვა ქალაქის მოსახლეობას. მათ საშუალება არ აქვთ, ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში გადაადგილდნენ უპრობლემოდ, გადაჯდომის გარეშე.

— ეს ხდება მაშინ, როდესაც სამარშრუტო ტაქსები 60 პროცენტით გაძვირდა. ჩვენი მოთხოვნაა, რომ აღდგეს ძველი ხაზები და გაუმჯობესდეს ავტობუსების მოძრაობის ინტერვალი, — განაცხადა შალამბერიძემ.

როგორც თავისუფალი საქართველოს წარმომადგენელი გია ყრუაშვილი აღნიშნავს, თბილისში მოძრავი ავტობუსები უბნებს ერთმანეთთან არ აკავშირებს და ეს თავისთავად აძვირებს გადაადგილებას.

— მარშუტკების ბიზნესი შარანგიებს გადაეცათ. მოსახლეობას ქალაქში გადაადგილებისას ორი ავტობუსის გამოცვლა და ოჯერ ფულის გადახდა უწევს. ამიტომ მოსახლებას ისევ გაძვირებული მარშუტკით გადაადგილება ურჩევნია. ეს არის პირდაპირი ყაჩაღობა. თვეში ეს გამოდის 20-25 მილიონი ლარი. აღნიშნული თანხა უგულავამ ამოიღო მოსახლეობის ჯიბიდან და ჩადო შარანგიების ჯიბეში. თუ ამ ქვეყანას ჰყავს იუსტიციის მინისტრი ან შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიმე სამართალდამცავი ორგაანო, მათ ახლავე უნდა დააკავონ უგულავა, — განაცხადა კუკავამ.


გიგი უგულავა

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შალვა ნათელაშვილი: „სასწრაფოდ გაიწვიეთ ჯონ ბასი საქართველოდან!“

## ლეიბორისტებმა ვაშინგტონს საგანგებო წერილით მიმართეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია საქართველოში ამერიკის სრულუფლებიანი ელჩის ჯონ ბასის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის და მის დაუყოვნებლივ გაწვევას მოითხოვს.**


შალვა ნათელაშვილი

ამ შინაარსის განცხადება გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც პრესას იმ ოფიციალური განცხადების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ამერიკის პრეზიდენტ ბარაქ ობამას და კონგრეს გადეგზავნა ლეიბორისტული პარტიის სახელით ელჩის ჯონ ბასის გაწვევის თხოვნით.

— ამერიკამ საქართველოში ელჩად კაცობრიობის მტერი დიკ ჩეინის ჩინოვნიკი ჯონ ბასი დანიშნა. ბასი კომუნისტების დროს მოსკოვიდან დანიშნულ „ცეკა“-ს მეორე მდივანზე უარესია და უფრო მეტიც: როგორც ფსიქიატრები იტყვიან, კონტაქტშიც კი ვერ შედის ვერც ერთ ფენასთან, გარდა სააკაშვილის გახრწნილი რეჟიმისა და თქვენ მიერ დანიშნული ოპოზიციისა. ელჩი, რომელიც პოლიტიკური მიტინგების სასტიკი დარბევისა და ხალხის დაჭერის შესახებ განკარგულებებს პირდაპირ იძლევა სხვა არაფერია, თუ არა ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანი პროკურორი, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტლი პარტიის ლიდერი მიმართავს ამერიკის მთავრობას, რაც შეიძლება მალე მოხსნან ელჩის თანამდებობიდან ჯონ ბასი. ნათელაშვილი მერიკის ელჩის გათავისუფლების აუცილებლობად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ როგორც თავად განმარტა, ჯონ ბასი გარდა დიპლომატიური საქმიანობისა, ის უხეშად ერევა სახელმწიფოს მმართველობაში, გასცემს განკარგულებებს პოლიტიკის ყველა ძირითად მიმართულებებზე, იძლევა ბრძანებებს აქციების სასტიკად დარბევის შესახებ, რაც ელჩის საქმიანობის ფარგლებს ძალიან სცილდება.

— მოვუწოდებთ ამერიკის პრეზიდენტს, ხალხისთვის საძულველი პიროვნება რაც შეიძლება მალე მოხსნას ელჩის თანამდებობიდან, — აღნიშნა ნათელაშვილმა. მისი თქმით, „წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის ავტორიტეტი კიდევ უფრო მალე განადგურდება, რაც მხოლოდ საკუთარ პოლიტიკას შეგიძლიათ დააბრალოთ“.

— ამერიკის ელჩი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერით არჩევნების გაყალბებისა და ძალადობის ხარჯზე ცდილობს საქარველო აშშ-ის კოლონიად გადააქციოს, — აღნიშნა ნათელაშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის პრეზიდენტი და კონგრესმენები ლეიბორისტების კანონიერ მოთხოვნას გაითვალისწინებენ და „საგანგებო და სრულუფლებიან პროკურორად“ ქცეულ ჯონ ბასს საქართველოდან დაუყოვნებლივ გაიწვევენ.

# ჯონ ბასი: „ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, მოსახლეობის გადასაწყვეტია“

ნათია ხურცილავა

**ბოლო დროს ვიკილიქსმა საქართველოსთან დაკავშირებით არაერთი სკანდალური მასალა გამოაქვეყნა. მასალები ძირითადად ოპოზიციასა და ამერიკის ელჩის მიმოწერას ეხება ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციასთან.**


ჯონ ბასი

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ძირითადი მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ მივლენილ ქვეყანაში არსებული ვითარება სრულად ასახოს და მიაწოდოს.

ინფორმაცია, რომელიც რეალურად არსებობს და რომელიც ნაკლებად არის ხელმისაწვდომი რიგითი ადამიანებისთვის, ყოველთვის ხელმისაწვდომია საელჩოსთვის.

რომ არა ვიკილიქსი, მსოფლიოში ბევრი ინფორმაცია საიდუმლოდ დარჩებოდა, მაგრამ რამდენად არის სარწმუნო და სანდო ვიკილიქსის ინფორმაცია, ამაზე ასპროცენტიანი პასუხი არ არსებობს.

ვიკილიქსის მასალებზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ მთლად არ უნდა ვენდოთ მას. თუმცა, ფაქტი ერთია, არსებობს ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერ ხსენებული საიტი და არსებობს უკვე გახმაურებული მასალებიც.

ერთ-ერთი ასეთი მასალა, რომელიც ვიკილიქსმა გამოაქვეყნა, არის ვინ შეიძლება იყოს მომავალში საქართველოს პრეზიდენტი.

ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი ჯონ ტეფტი თავის ადმინისტრაციას წერს, რომ ასეთი ადამიანი, შეიძლება იყოს დღეს მოქმედი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე. თუმცა, ამ ინფორმაციას ის თეთრ სახლს 2009 წელს აწვდის. შეიძლება მას შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში აღნიშნული გადაწყვეტილება თუ შეხედულება არაერთხელ შეიცვალა და ეს ინფორმაციაც მოძველებულია.

მარტყოფში მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების დღეს მოქმედ ელჩს ჟურნალისტებმა ჰკითხეს: ვინ შეიძლება იყოს 2013 წლის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი? ამ კითხვის პასუხად ელჩი შემდეგს აცხადებს:

— საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია, ვინ იქნება ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი, — ასე ფიქრობს ჯონ ბასი.

ჯონ ბასის ამ კომენტარს საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი ავრცელებს.

როგორ ფიქრობს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი? ვინ მიაჩნია მას მის მემკვიდრედ? ვისთვის ემეტება პრეზიდენტობა? ჰყავს კი შეგულებული მემკვიდრე და ვინ არის ის? — ეს არის ის კითხვები, რომელზე პასუხები არ არსებობს.

ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი ამ კითხვების საპასუხოდ აცხადებს, რომ ასეთი ფიქრები წარმოუდგენელია სააკაშვილისთვის, რომ მემკვიდრე არ არსებობს და მას სამუდამო მმართველად წარმოუდგენია თავი.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი აცხადებს, რომ მოსახლეობამ, საქართველოს მოქალაქეებმა თავად უნდა მიიღონ ეს გადაწყვეტილება, ხოლო ამერიკა კი ამის აღსრულებისთვის ჯანსაღ გარემოს შექმნის.

— ვინ იქნება მომავალში საქართველოს პრეზიდენტი, ეს საქართველოს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს, ხოლო ამერიკა ამისთვის ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად ყველაფერს გააკეთებს, — განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბარში ბასმა.

ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მასალაზე კომენტარს აკეთებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა:

— თუ დავით ბაქრაძე პრეზიდენტი გახდა, რეალური ძალაუფლება შინაგან საქმეთა მინისტრის ხელში იქნება.

— ეს არის ძალოვანი სტრუქტურების სურვილი, რომ გახდეს სააკაშვილის შემცვლელი, რადგან ისინი ამ ქონებას, რომელიც მათ ამ ხნის განმავლობაში დააგროვეს, შეინარჩუნებენ.

კუკავას თქმით, რაც შეეხება გიგი უგულავას, რომლის სურვილი, რომ გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, განუზომლად დიდია, მას სხვა წარმომადგენლები ებრძვიან.

— იმ შემთხვევაში, თუ ბაქრაძე პრეზიდენტი გახდება, ძალაუფლება იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის და სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების ხელში, — განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში კახა კუკავამ.

# უმრავლესობა ვიკილიქსის მასალებზე კომენტარს არ აკეთებს

ნანა მიშელაშვილი

**საპარლამენტო უმრავლესობა ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე დუმს. უმრავლესობის არც ერთ წევრს არ სურდა კომენტარის გაკეთება ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მორიგ მასალებზე.**


ლევან ვეფხვაძე

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის წევრები გუშინ პარლამენტში, საკუთარ სამუშაო ოთახებში იმყოფებოდნენ, ისინი უარს ამბობდნენ პრესასთან შეხვედრაზე და ვიკილიქსის მიერ გავრცელებულ მასალებზე საუბარზე.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად შესაძლოა, პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე დაასახელოს. ამის შესახებ საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის შეტყობინებაშია ნათქვამი, რომელიც საიტმა ვიკილიქსმა გამოაქვეყნა.

2009 წლის 6 იანვრით დათარიღებულ შეტყობინებაშია ნათქვამია, რომ ელჩს ამ ვერსიაზე დიმიტრი შაშკინი ესაუბრა.

რატომ არ სურდა ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ ამ მასალებზე კომენტარის გაკეთება უმრავლესობის წევრებს, ეს უცნობია. თავად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ამჟამად საქართველოში არ იმყოფება.

ბაქრაძე უკვე რამდენიმე დღეა რაც საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად ვიზიტით რამდენიმე ქვეყანაში იმყოფება. სინგაპურის შემდეგ ბაქრაძე ჯერ ავსტრალიას ესტუმრა, შემდეგ კი ახალ ზელანდიას. უმრავლესობისგან განსხვავებით, ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მასალებზე კომენტარი გააკეთა უმცირესობის წევრმა.

ოპოზიციის ნაწილი ხაზს იმას უსვამს, რომ აშშ-ს ყოფილი ელჩის ეს გზავნილი იმ დროს არის გაკეთებული, სანამ დიმიტრი შაშკინი მინისტრი გახდებოდა.

ოპოზიციონერი ლევან ვეფხვაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ვიკილიქსის მონაცემებს სერიოზულად ვერ განიხილავს, რადგან თავად ამერიკული მხარე არ განიხილავს ამ მონაცემებს სერიოზულად.

— რადგან ამერიკული მხარე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ დოკუმენტაციის რეალობასა და შესაბამისობას, მეც სერიოზულად ვერ დავიწყებ საუბარს ამ დოკუმენტაციის ვერც შინაარსზე და ვერც იქიდან გამომდინარე შედეგებზე. ნაციონალურ მოძრაობას რომელი კანდიდატი ეყოლება საპრეზიდენტო კანდიდატად: უგულავა, ბაქრაძე, მერაბიშვილი თუ მესამე ვადით სააკაშვილი, ჩემთვის ნაკლებად საინტერესოა, — ასეთია ვეფხვაძის პოზიცია.

# ყვავილის სკოლაში 12 მოსწავლეს 11 მასწავლებელი ჰყავს

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვავილის დანიელ ჭონქაძის სახელობის 9-წლიანი საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს 12 მოსწავლით და 11 მასწავლებლით ხვდება. სკოლაში, სადაც ბავშვები სამი სოფლიდან - ყვავილიდან, მეზვრიანთკარიდან და თანიანთკარიდან დადიან, წელს პირველი კლასი არ გაიხსნება, — იუწყება მცხეთა მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.



მოსწავლეები არც მეორე, მესამე და მეშვიდე კლასში ჰყავთ. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე კლასში კი თითო-თითო ბავშვია. ყველაზე მეტი მოსწავლე — 4 ბავშვი, მეცხრე კლასში ირიცხება.

ყვავილის საჯარო სკოლაში შედის ვეძათხევის დაწყებითი სკოლაც, სადაც ამ დროისთვის 4 მოსწავლეა.

მეზვრიანთკარსა და თანიანთკარში მცხოვრებ ბავშვებს სახლიდან სკოლამდე და შემდეგ სკოლიდან სახლამდე მისასვლელად ფეხით დღეში რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ.

ყვავილის სკოლაში უცხო ენებიდან მხოლოდ ფრანგულს და რუსულს ასწავლიან. სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელი არ ჰყავთ.

ყვავილის მაცხოვრებლების თქმით, ყვავილის სკოლაში მოსწავლეთა კონტინგენტის სიმცირის მთავარი მიზეზი უმუშევრობაა - მოსახლეობამ სოფელი სამუშაოს არქონის გამო მიატოვა.

— სოფელი სულ რომ არ დაიცალოს ხალხისგან, გადარჩენის ერთადერთი გზა სკოლაა, — ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის მასწავლებელი ნაირა სუჯაშვილი.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# გიორგი კობახიძე: „სახალხო კრება ოქრუაშვილთან არ ითანამშრომლებს“

## 26-მა მაისმა ბევრ რამეს ნათელი მოჰფინა

შორენა კოწოწაშვილი

**ნინო ბურჯანა ის თანაგუნდელი გიორგი კობახი ე ღიმილისმომგვრელს უწოდებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ქართული პარტია და სახალხო კრება სექტემბრის ბოლოდან ერთობლივ ნაბიჯებს გადადგამენ და ერთიანი გეგმით იბრ ოლებენ სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ.**


გიოrგი კობახიძე

რა გეგმები აქვს სახალხო კრებას და ნამდვილად შეძლო თუ არა ხელისუფლებამ ნინო ბურჯანაძის და სახალხო კრების განეიტრლება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ **გიორგი კობახიძესთან**.

***— ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ პოლიტიკურ ფლანგ ზე არსებულ ვითარებას და ელით თუ არა პოლიტიკურად „ცხელ“ შემოდგომას?***

— თქვენის ნებართვით, სანამ წმინდა პოლიტიკურ საკითხებზე ვილაპარაკებ, პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებდი იმ თემაზე, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. ეს არის პოლიტპატიმრების თემა. იცით, რომ რამდენიმე ათეული პატიმარი 26 მაისის მერე კვლავ რჩება საპყრობილეში. თითოეული ამ პატიმრის წინააღმდეგ ხელისუფლებას დანაშაული აქვს ჩადენილი არა მარტო 26 მაისს, არამედ წინა პერიოდშიც. სხვათა შორის, ამ დანაშაულის ჩადენას დღესაც აგრძელებს და ამაზე პასუხს თვითონ ამ პატიმრებს სთხოვენ. აი, ეს ვითარებაა. ეს თემა თავისი შინაარსით ასევე მთლიანად პოლიტიკურია. ამიტომ მე ყოველთვის ყველა საუბარს, მას შემდეგ, რაც ამ სტატუსის ახალი ნაკადი გაჩნდა, საჯარო განცხადებებს ყოველთვის ამით დავიწყებ ხოლმე. ეს არის ჩემის მხრიდან, როგორც ერთი ადამიანის მხრიდან, პოლიტიკური ბრძოლის გამოვლინება. კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები თითოეული ამ პოლიტპატიმრის საქმით დაინტერსდებით. იმიტომ, რომ საქმე ეხება ადამიანების და მათი ოჯახების ბედს. რაც შეეხება შემოდგომას, ბუნებრივია, რომ პროცესი არ გაჩერებულა. ჩვენ რომ მთელი ზაფხული სასამართლო პროცესებს და გამოძიებას მივუძღვენით, ეს იმას ნიშნავს, რომ პროცესი არ შეჩერებულა. ეს არ იყო იოლი ბრძოლა. ეს ყველაფერი სხვადასხვა სახით მომავალშიც გაგრძელდება. სხვადასხვა სახეში ვგულისხმობ როგორც მუშაობას საერთაშორისო არენაზე, ისე ქვეყნის შიგნით. ეს იქნება ქუჩის აქციები თუ სხვა სახის ბრძოლა ამ ხელისუფლების შესაცვლელად. ანუ ნებისმიერი ფორმა იქნება გამოყენებული, რომელიც მიღებულია პოლიტიკური ბრძოლისთვის ცივილიზებულ სამყაროში. ამ საქმეში ჩვენ მარტო არა ვართ და არც მომავალში არ ვიქნებით.

***— სხვა ორგანიზაციებთანაც აწარმოებთ აქტიურ კონსულტაციებს შემდგომი ერთობლივი ნაბიჯებისთვის?***

— ბუნებრივია, მიმდინარეობს კონსულტაციები და მან უფრო ინტენსიური სახე შეიძინა, რადგან 26-მა მაისმა ბევრი რამ დამატებით უფრო მძაფრად გამოაჩინა. უფრო მკაფიო გახადა ის, რასაც ზოგიერთი ვერ ხედავდა.

***— ამას იგივე აქციის დროს გარდაცვლილ ნიკა კვინტრაძის ფაქტიდან გამომდინარეც საუბრობთ? ფაქტია, ბრიტანულმა ექსპერტიზამ ხელისუფლების დანაშაული გამოკვეთა.***

— რა თქმა უნდა. კვინტრაძე არის ხელისუფლების მიერ ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლი, ისევე როგორც სხვები. კვინტრაძესთან დაკავშირებით ბევრი მასალა აღმოჩნდა და ეს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კარგად გამოიყენა. მაგრამ ყველა დანარჩენი ვინც დაიღუპა და არიან ისეთებიც, ვინც დაიღუპა, მაგრამ დადასტურებული არ არის, რომ ისინი 26 მაისს დაიღუპნენ, ყველა დანარჩენი ბუნებრივია, თავის სამართალს ელის. ეს ბრძოლა მანამდე გაგრძელდება, სანამ თავის ლოგიკურ დასასრულამდე არ მივა.

***— ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ სასურველ ოპოზიციურ ძალებთან უკვე შეთანხმებას მიაღწია და მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია ახალი პარლამენტის კონტურებიც.***

— 26 მაისმა მართლაც ბევრი რამ მოგვცა. მისი შემდგომი პერიოდი გარკვეული წერტილების დასმის საშუალება გახდა და ამათუ იმ პოლიტიკური ძალისთვის სახელების დარქმევის კარგი ფონი შეიქმნა. კერძოდ, ეს ის ორგანიზაციებია, რომლებმაც პირდაპირ ღიად განაცხადეს, რომ ისინი არიან ხელისუფლების საქმის მკეთებელი ოპოზიცია. ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა „ექვსეულად“ დარჩენილი ძველი „რვიანი“. მათ მოუწევთ ახალი გეგმების შედგენა და ამ ეტაპზე უკვე გადავიდნენ. შესაბამისად, მოქმედებებიც ახალი რეალობების გათვალისწინებით მოუწევთ. ახალი რეალობის წინაშე დადგა აგრეთვე სახალხო კრებაში შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციები. მათ შორის, ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციაც მაქვს მხედველობაში. იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა და ბევრი დანაშაული ჩაიდინა. ბუნებრივია, რომ ეს ყველაფერი შესაბამის რეაგირებას ითხოვს.

***— სიმართლესთან ახლოსაა განცხადებები, რომ სახალხო კრება იშლება?***

— კრებიდან ყოველთვის მიდიოდა ვიღაც და შემოდიოდა. როდესაც ვსაუბრობდი, რომ მთელი ზაფხული მუხლჩაუხრელი მუშაობა მიდიოდა პოლიტპატიმრების უფლებების დასაცავად, ბუნებრივია, ამ ბრძოლის მთავარი სუბიექტი სახალხო კრება იყო და მასში შემავალი ორგანიზაციები. ამას ჩვენ გარდა, არავინ გააკეთებდა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ პროცესებზე სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ან არ ჩნდებოდნენ, ან ძალიან იშვიათად ჩნდებოდნენ. პროცესებს ჩვენ და არასამთავრობოები ვესწრებოდით. ჩვენ პირიქით, პასუხისმგებლობა უფრო გაზრდილი გვაქვს 26 მაისის შემდგომ.

***— ანუ ახალი ძალით აპირებთ ხელისუფლების წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის წარმართვას?***

— დიახ, რა თქმა უნდა და ახალი გეგმით.

***— ბატონო გიორგი, დღემდე საკმაოდ მძიმედ დგას ოპოზიციისთვის საზოგადოების ნდობის აღდგენა. ნდობის აღდგენისთვის სახალხო კრების ლიდერები მუშაობას განაგრძობენ? რისი იმედი გაქვთ?***

— პირველი, როცა ვამბობ, რომ 26-მა მაისმა დადებითიც ბევრი მოგვცა და უარყოფითიც გამოავლინა-მეთქი, დადებითში პირველ რიგში იმას ვგულისხმობ, რომ სახალხო კრებამ აჩვენა, რომ ის უკომპრომისოდ იბრძოლებს ამ ბოროტმოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ და უკან არ დაიხევს. ხალხმა ეს დაინახა და აღიარა. ამან გარკვეული ხარისხი შესძინა ჩვენდამი ნდობას. ბუნებრივია, რომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შევინარჩუნებთ ამ აქტიურობას და რამდენად შედეგზე ორიენტირებული იქნება ჩვენი ესა თუ ის ნაბიჯი.

***— ბატონო გიორგი, ქართული პარტიიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომ შესაძლოა „ქართული პარტია“ და „სახალხო კრება“ სექტემბრის ბოლოს ერთობლივი განცხადებით გამოვიდნენ და შემდგომი ერთობლივი ნაბიჯების შესახებ ისაუბრონ. ითქვა, რომ ეს შეთანხმება ლიდერების კონსულტაციების შედეგად იქნა მიღწეული.***

— მაინტერესებს, ვინ გაავრცელა ასეთი ინფორმაცია. ფაქტია და ეს ყველასთვის ცნობილია, თუ ვინმემ უარყოფითი როლი ითამაშა კრების აქციებში, ეს ქართული პარტია იყო. ჯერ ერთი, ყველა კრებას უპირისპირდებოდა და კრებას ებრძოდა პოლიტიკური ორგანიზაციებით დაწყებული და მედია საშუალებებით დამთავრებული კრების პირველი განცხადებიდან მოპოვებული. ყველაზე უფრო მტკივნეული და მძიმე დარტყმა ვინც მიაყენა ჩვენს ბრძოლას, ეს იყო „ქართული პარტია“ და ამან შედეგად მოიტანა არა მარტო ის, რომ კრებას პრობლემები შეექმნა, არამედ იცით, რომ თვითონ „ქართული პარტია“ დაიშალა. ეს არის ფაქტი, რაც ყველასთვის ცნობილია. ამის შემდეგ მე ძალიან გამიჭირდება პერსპექტივები დავინახო კიწმარიშვილ-ოქრუაშვილის ტანდემთან პოლიტიკური მომავლის კუთხით. „ქართული პარტიის“ სხვა წევრები ამას თუ კარგად დაინახავენ და გაემიჯნებიან ისევე, როგორც გაემიჯნენ გაჩეჩილაძე, გუნცაძე და უამრავი სხვა პიროვნება მათთან ერთად, მაშინ ამას აღარ ერქმევა „ქართული პარტია“.

***— რამდენად აქტიური ხასიათი აქვს სახალხო კრების წარმომადგენლების მიმართ პოლიტიკურ რეპტრსდიებს?***

— ეს ბრძოლა არის დაუნდობელი და ღია. ჩვენს მაგალითზე ხელისუფლება ცდილობს მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ არავის არ დაზოგავს; არავის არ ექნება მისგან რაიმე სახის დანდობა მომავალში, თუკი ვინმე გონებაში გაივლებს ამ ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობას. პირდაპირ ღია იერიშზე არიან წამოსული. ფარულები იყო მანამდე — დაშინება, სატელეფონო მუქარა, ოჯახის წევრების მიმართ მუქარა, სამსახურში პრობლემების შექმნა და ა.შ. ყველა ეს ფორმა იყო ხელისუფლების მიერ გამოყენებული. ახლა ამ ყველაფერმა უკვე ღია სახე მიიღო. კარგად ხედავთ, ადამიანებს ვის მიმართაც ხელისუფლებამ მძიმე დანაშაული ჩაიდინა — მკვლელობებით დაწყებული და ხიულიგნობით დამთავრებული, დღეს ამ ადამიანებს თავად ასამართლებს.

***— არასწორია შეფასება, რომ ხელისუფლებამ სახალხო კრება გაანეიტრალა და ამ ძალისგან სერიოზულ პროტესტს აღარ ელის?***

— იცით რა არის, ხალხი ხელისუფლების მოქმედებებზე რეაგირებს და არა იმაზე, სახალხო კრება გაუძღვება აქციებს თუ სხვა ვინმე. ჩვენ, უბრალოდ, აღმოგვაჩნდა ის პოლიტიკური ნება და ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომ ამ მოწოდებებით გამოვსულიყავით და ხალხისთვის შეგვეხსენებინა, რომ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლაა საჭირო. ხალხი ქუჩაში გამოჰყავს ხელისუფლების უგუნურებას, დანაშაულებრივ მოქმედებებს და არა ამა თუ იმ პოლიტიკური ორგანიზაციის ახირებებს. ჩვენ ვართ ის ძალა, რომელიც ამ დანაშაულობებს, რასაც ხელისუფლება სჩადის. ყურადღების გარეშე არასდროს არ დავტოვებთ. ამიტომ ხელისუფლებას იმედი ნუ ექნება, რომ ვიღაცა ან გაანეიტრალა ან დააშინა.

***— დაბოლოს, პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ხელისუფლებამ ახალი პარლამენტის კონტურები მოხაზა და ადგილები ასეთი თანმიმდებრობით ნაწილდება: ნაციონალური მოძრაობა, ექვსიანი, ქრისტიან-დემოკრატები, ლეიბორისტები, ახლები და ედპ. ხელისუფლების ამ გეგმას ჩაშლით სახალხო კრების ლიდერები?***

— ჩვენ ვამბობ, რომ ხელისუფლება ნებისმიერი დარღვევისთვის პასუხს აგებს. განსაკუთრებით არჩევნებში ჩადენილი დანაშაულისთვის ეს ხელისუფლებს რევოლუციას მიიღებს. ეს არის საერთაშორისოდ აღიარებული უფლება ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ხალხისთვის. ასე რომ, იმაზე რომ ეს ხელისუფლება შეიძლება ასე გეგმავდეს, მე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ იდეაში გეთანხმებით. ალბათ ასეც გეგმავს. მეტსაც გეტყვით: ეს პროცენტი ჯამური მთელი ოპოზიციისთვის, რაც მათ აქვთ დათმობილი არ აღემატება ალვათ 25%-ს. დიქტატორულ ხელისუფლებას ყოველთვის სჭირდება ორი მესამედი ჰქონდეს ხელში. ბუნებრივია, რომ დაზღვევისთვის მას სჭირდება კიდევ გარკვეული რაოდენობა, რა იცი რა ხდება. ამიტომ 25%-ით მანდატების რიცხვის ზრდა სწორედ ამას ემსახურება, რომ ბევრი ოპოზიციური ორგანიზაცის სიხარბეს რაღაცნაირად უპასუხოს და დააკმაყოფილოს. აქ ბუნებრივია იმ ორგანიზაციებს ვგულისხმობ, ვისთვისაც ხელისუფლების შეცვლა მიზანი არ არის. მათთვის მთავარი ამოცანა პირადი კეთილდღეობის მოწყობაა. ჩვენ ასეთი ოპოზიციის რიცხვში ნამდვილად არ შევდივართ. ჩამონათვალი ნამდვილად სწორად გააკეთეთ. ამ ხელისუფლებისთვის „დემოკრატიული მოძრაობა“ ბუნებრივია თავის ტკივილია.

## ქუთაისში ხელისუფლება ავტოფარეხებს ანგრევს



ქუთაისში პარლამენტის მსენებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ ავტოფარეხების დანგრევა დაიწყო, — აცნობეს „მედიანიუსს“ პარტია თავისუფალი საქართველოდან. მათივე ცნობით, ავტოფარეხების უმრავლესობა კანონიერადაა აშენებული და ამის უფლება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობას თვითმართველობის არჩევნების წინ მისცა.

პარტია თავისუფალი საქართველოს ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ტერიტორის გამონთავისუფლება ერთადერთ მიზეზს ემსახურება, ხელისუფლებამ და მასთან დაახლოებულმა პირებმა ხელში ჩაიგდონ ფინანსურად მომგებიანი ტერიტორიები. ცხადია, რომ პარლამენტის შენობის გადმოტანის შემდეგ მის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორია კომერციულად მომგებიანი გახდება.

**მედიანიუსი**

## სამხრეთ ოსეთის ელჩმა ორტეგას რწმუნებათა სიგელი გადასცა

ნიკარაგუაში სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ელჩმა ნარიმ კოზაევმა, ნიკარაგუის პრეზიდენტს დანიელ ორტეგას რწმუნებათა სიგელი გადასცა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება.

რწმუნებათა სიგელის გადაცემის ცერემონიალზე, ნიკარაგუის პრეზიდენმტა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ხალხებს შორის კავშირი კიდევ უფრო მყარდება.

— ჩვენ პატარა ერები ვართ, თუმცა ღრმა თვითიდენტიფიკაცია გაგვაჩნია და ვაწარმოებთ ბრძოლას თვითდამკვიდრებისთვის, სუვერენიტეტისთვის და დამოუკიდებლობისთვის, — აღნიშნა ორტეგამ.

მანვე იმედი გამოთქვა, რომ ოდესმე სამხრეთ ოსეთს აუცილებლად ეწვევა, რათა ამით ორ ქვეყანას შორის დაახლოების პროცესს ხელი კიდევ უფრო შეუწყოს.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 5 სექტემბერს ნიკარაგუამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ნიკარაგუას გარდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ვენესუელამ, ნაურუმ, რუსეთმა და ვანუატუმ ცნეს.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილმა ფოთში პროფესიული კოლეჯი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ფოთში პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“ გახსნა.


მიხეილ სააკაშვილი

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, „მსგავსი ტიპის სასწავლებლების დამთავრების შემდეგ უმთავრესია, კურსდამთავრებულებმა სამსახური იშოვონ“ და სავარაუდო დამსაქმებლებიც დაასახელა. პრეზიდენტის თქმით, სავარაუდო დამსაქმებლებად ანაკლიის სასტუმროები და ფოთის პორტი შეიძლება, ჩაითვალოს.

მიხეილ სააკაშვილმა სარესტორნო საქმის მწარმოებელთა და სადურგლო-საშემდუღებლო საამქროებიც დაათვალიერა და სტუდენტებთან ერთად ფორმატული ჭრის ჩარხზე დეტალის დამუშავებაში მიიღო მონაწილეობა.

ფოთის პროფესიული კოლეჯის სარემონტო სამუშაოები 2010 წლის ოქტომბერში დაიწყო და იქ 400-მდე სტუდენტი ისწავლის.

**პირველი**

# სასამართლომ კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეზე დაადგინა განაჩენი

2011 წლის 26 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება 15 ბრალდებულის მიმართ. გიორგი ჩიხლაძეს, ჯიმშერ ჩიხლაძეს, თეიმურაზ ელყანიშვილს, ვაჟა მახარაშვილს, ლერი ბერიტაშვილს, ნოდარ აბუსერიძეს, ბესიკ ნებიერიძეს, ბესიკ ბერიტაშვილს, დავით ასათიანს, ივანე იოსელიანს, ელგუჯა გურაბანიძეს, გალაქტიონ გიგუაშვილს, თამაზ ოდიაშვილს, ნიკოლოზ ჯანჯალაშვილსა და ზურაბ ლიჩელს ბრალად ედებოდათ: უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა — შენახვა; გიორგი ჩიხლაძეს, ასევე ბრალი ედებოდა ხელისუფლების წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით და ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო გასაღებაში, ხოლო ვ. მახარაშვილს — სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მომზადებაში, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

საქმის მასალების მიხედვით: 2011 წლის გაზაფხულზე გიორგი ჩიხლაძემ, ირაკლი ოქრუაშვილისა და იოსებ გიგუაშვილის დავალებით, ზემოხსენებული ბრალდებული პირების მიერ შექმნა მყარად შეკავშირებული უკანონო შეირაღებული ფორმირება, რომელიც მიზნად ისახავდა, ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მისი უსაფრთხოების დაცვას, ასევე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებების განხორციელებისას, საქართველოს ხელისუფლებაზე ზემოქმედებას.

ჯგუფის წევრები ი. ოქრუაშვილისა და ი. გიგუაშვილისგან იღებდნენ დავალებებს და ერთმანეთთან ჰქონდათ სისტემატიური კავშირი.

ფორმირების მიზნებისთვის, 2011 წლის ივნისში ირაკლი ოქრუაშვილმა ვინმე „ვასიას" მეშვეობით ცხინვალის რეგიონიდან გ. ჩიხლაძეს მიაწოდა სხვადასხვა სახეობის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება და ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომელიც გ. ჩიხლაძემ გაანაწილა ჯგუფის წევრებზე, რაც შემდეგ სამართალდამცავების მიერ ამოღებული იქნა ბრალდებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად.

სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულ იქნა მოწმეთა ჩვენებებით, დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, სასამართლო-ბალისტიკური, პიროტექნიკური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. ღია სასამართლო სხდომაზე ყველა ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, ასევე აქტიურად ითანამშრომლა გამოძიებასთან, რის საფუძველზეც მხარეებს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ჩიხლაძეს სასჯელის სახედ 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 6 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით; ვაჟა მახარაშვილს სასამართლომ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, საიდანაც 2 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 2 წელი ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; თეიმურაზ ელყანიშვილს, ლერი ბერიტაშვილს, ბესიკ ნებიერიძეს, ნოდარ აბუსერიძეს, ბესიკ ბერიტაშვილსა და ზურაბ ლიჩელს სასჯელის სახედ თითოეულს 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ, საიდანაც მსჯავრდებულები 6 თვეს მოიხდიან სასჯელაღსრულების დაწესებალებაში, ხოლო 4 წელი და 6 თვე ჩაეთვალათ პირობითად, 5 წლის და 6 თვის გამოსაცდელი ვადით; ელგუჯა გურაბანიძეს, დავით ასათიანსა და ივანე იოსელიანს თითოეულს განესაზღვრათ 1 წლიანი პირობითი მსჯავრი, 2 წლის გამოსაცდელი ვადით; გალაქტიონ გიგუაშვილსა და ნიკოლოზ ჯანჯალაშვილს მიესაჯათ თითოეულს 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელს მოიხდიან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 3 წელი ჩაეთვალათ პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; ჯიმშერ ჩიხლაძესა და თამაზ ოდიაშვილს სასჯელის სახედ 5-5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებულები 1 წელს მოიხდიან თავისუფლების აღკვეთის სახით, ხოლო 4 წელი ჩაეთვალათ პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

# თბილისში №34 სამარშრუტო მიკროავტობუსი გადაბრუნდა



თბილისში გუშინ ავარიის შედეგად №34 სამარშრუტო მიკროავტობუსი გადაბრუნდა.

შემთხვევა დიღმის გზაზე „ოპელის" მარკის მსუბუქი ავტომანქანისა და „მერსედესის" ტიპის მიკროავტობუსის შეეჯახების შედეგად მოხდა.

ავტოავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ხუთი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. სასწრაფო დახმარების ექიმებმა ისინი ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაზიანებული ავტომობილები საჯარიმო სადგომზეა გადაყვანილი. მომხდართან დაკავშირეით გამოძიება მიმდინარეობს.

**პირველი**

# რუსულმა ავიაციამ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია

**ნათია ხურცილავა**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, რომ რუსეთის ფედერაციის ვერტმფრენმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია.



სამი რუსული ვერტმფრენი საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა

როგორც აღვნიშნეთ, ამ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება. მათი ინფორმაციით, 8 სექტემბერს დილის 01:05 საათზე სამი რუსული „მი-8" ტიპის სამხედრო ვერტმფრენი შემოიჭრა და საქართველოს საჰაერო სივრცე გადასერა.

საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა ტანიეს ხეობაში სოფელ შატილის სიახლოვეს მოხდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთმა უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სუვერენიტეტი.

საგარეო უწყების ინფორმაციით, რუსული ვერტმფრენები 3 კილომეტრით შემოიჭრნენ საქართველოს საჰაერო სივრცეში და დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში დაფრინავდნენ საქართველოს პოლიციის საგუშაგოს თავზე. ამის შემდეგ, ვერტმფრენებმა საქართველოს საჰაერო სივრცე დატოვეს.

„საქართველოს საჰაერო სივრცის მორიგი დარღვევა წარმოადგენს რუსეთის პოლიტიკის გაგრძელებას, რომელიც მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. საერთაშორისო ნორმის ამგვარი უხეში დარღვევა მიზნად ისახავს გამოიწვიოს ქართული მხრიდან შესაბამისი ზომების მიღება, რაც ხელს შეუწყობდა მდგომარეობის შემდგომ ესკალაციას. შექმნილ ვითარებაში ქართულმა მხარემ იმოქმედა თავშეკავებულად და სრული პასუხისმგებლობით, ვინაიდან უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესება საქართველოსა და რეგიონის ინტერესებში არ შედის", — ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყების შეფასებით აშკარაა რუსეთის მხრიდან ახალი პროვოკაციების განხორციელების მოლოდინი. მომხდარი ინციდენტის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამისად მიაწვდის ინფორმაციას გაერო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ასევე ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში, რომ სამინისტრო საერთაშორისო თანამეგობრობისაგან ადეკვატურ შეფასებებს მოელის.

— ამასთან ერთად, საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო თანამეგობრობისაგან მოელის რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტის სათანადოდ შეფასებას და მოუწოდებს განაგრძოს ზეწოლა რუსეთზე 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულებისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების პატივისცემის მოთხოვნით, — აცხადებს საგარეო უწყება.

# „მძიმედ დაავადებული სოსო წიკლაური პატიმრობიდან გაათავისუფლეს"



გიორგი ცაგარეიშვილი

ტუბერკულოზის მძიმე ფორმით დაავადებული 23 წლის მსჯავრდებული, სოსო წიკლაური პატიმრობიდან გათავისუფლდა.

პარლამენტარ გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, რომელმაც აღნიშნული პატიმრის გათავისუფლების მოთხოვნით არაერთი ბრიფინგი და აქცია გამართა, წიკლაურის გათავისუფლების გაჭიანურების გამო შესაბამისი პირები უნდა დაისაჯონ.

როგორც „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი ამბობს, ისინი მოითხოვენ სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის გიორგი ხიზანიშვილის დასჯას, რადგან მან პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნის გაცემა თვეზე მეტხანს გადააცილა.

— პატიმარ სოსო წიკლაურის გათავისუფლება არ არის სასჯელაღსრულების მინისტრს ხათუნა კალმახელიძის და არც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სასამართლოს დამსახურება. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ წიკლაური ასეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თანაც პატიმრის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მისი გათავისუფლებისთვის საჭირო დასკვნა ერთი თვით გვიან გასცა, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია და ამაზე გიორგი ხიზანიშვილმა პასუხი უნდა აგოს,—განაცხადა ცაგარეიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პატიმარი სოსო წიკლაური რეზისტენტული ტუბერკულოზით არის დაავადებული და მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. მისი ოჯახი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან სასამართლო დასკვნის გაცემას მთელი თვის განმავლობაში ითხოვდა. აღნიშნული მოთხოვნით მათ არაერთი საპროტესტო აქცია გამართეს.

**მედიანიუსი**

# „ქსნის №15 დაწესებულებაში პატიმრებს უმოწყალოდ სცემეს"



ეკა ბესელია

საზოგადოებრივი მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ინფორმაციით, გუშინ მათ ოფისში შევიდა ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ოთხი მსჯავრდებული. მათი განმარტებით, 2011 წლის 3 სექტემბერს სასჯელაღსრულების №15 დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, დაახლოებით 15-20-მა თანამშრომელმა სრულიად უმიზეზოდ პლასტმასის ხელკეთებით უმოწყალოდ ცემა პატიმრებს, რის შედეგად სხეულის უმძიმესი დაზიანებები მიიღო რამდენიმე პატიმარმა, დაკარგეს მხედველობა, მიიღეს თავის ქალის მძიმე დაზიანებები. აღნიშნული მსჯავრდებულები ითხოვენ სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებას და დაუყოვნებლივ რეაგირებას. ასახელებენ კონკრეტულ თანამდებობის პირებს, ვინც მონაწილეობდა მათ წამებასა და ცემაში.

მსჯავრდებულები განმარტავენ, რომ ცემის პროცესში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ კონკრეტული თანამდებობის პირები და მათი მითითებით ხდებოდა პატიმართა წამება.

მსჯვარდებულებს ადმინისტრაცია დაემუქრა, ფაქტის გახმაურების შემთხვევაში დაუპატიმრებენ ოჯახის წევრებს, ხოლო მათ 10-15 წელს დაუმატებდნენ სასჯელს სხვადასხვა ბრალდებით. მათზე ხორციელდება სისტემატიური მუქარები.

ამასთან დაკავშირებით დღეს საზოგადოებრივი მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს" ხელმძღვანელი ეკა ბესელია ბრიფინგს გამართავს და მედიას პირველწყაროდან მიღებულ ფაქტებს გააცნობს.

**მედიანიუსი**

# ჩვილის გარდაცვალებაში ექიმებს ადანაშაულებენ

ერთი კვირის ჩვილის გარდაცვალებაში ბავშვის ოჯახის წევრები ექიმებს ადანაშაულებენ.

30 აგვისტოს საკეისრო კვეთით დაბადებული ბავშვი და 19 წლის დედა თბილისდის რკინიგზის სამშობიაროდან სახლში გაწერის შემდეგ რამდენიმე დღეში ჩვილი შეუძლოდ გახდა და ოჯახის წევრებმა მისი იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს, თუმცა ახალშობილი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

შემთხვევა 8 სექტემბრის ღამით მოხდა.

ნათესავები ბავშვის მდგომარეობის გართულებაზე პასუხისმგებლობას იმ ექიმებს აკისრებენ, რომლებმაც დედა ამშობიარეს. ბავშვის ახლობლები ამბობენ, რომ ახალშობილს პრობლემები ჰქონდა და მისი მდგომარეობა ექიმებმა თავიდანვე სათანადოდ ვერ შეაფასეს.

როგორც იაშვილის კლინიკის ექიმები აცხადებენ, ჩვილი საავადმყოფოში მიყვანისას უკვე ნახევარი საათის გარდაცვლილი იყო. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს.

რკინიგზის სამშობიაროში კი ოჯახის ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ ბავშვი ყოველგვარი პრობლემების გარეშე, სრულიად ჯანმრთელი დაიბადა და სწორედ ამიტომ მიიღეს მისი გაწერის გადაწყვეტილება.

— პაციენტი ჩვენთან შემოვიდა 30 აგვისტოს, იყო ნაკეისრალი. ნაწიბურის არასრულფასოვნების გამო გაკეთდა საკეისრო კვეთა. შემდგომი პერიოდი გაიარეს დამაკმაყოფილებლად და დედაც და ბავშვიც გაეწერა ბინაზე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში, — განაცხადა თბილისის რკინიგზის სამშობიაროს დირექტორმა ირაკლი მაჭარაძემ.

გარდაცვლისის ცხედარს ექსპეტრიზა უტარდება. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია, თუმცა ჩვილის გარდაცვალების კონკრეტული დეტალები ექპერტიზის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი.

**მედიანიუსი**

# ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონა ვერ შეიქმნება

## „მისი საავტომობილო, საავიაციო და საზღვაო გზების კვეთად გადაქცევის იდეა განუხორციელებელია“

ქართველი ექსპერტები ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივას არარეალურად მიიჩნევენ.

ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი ოჩამჩირეში ღრმაწყლიანი სატვირთო პორტის მშენებლობის პროექტს რუსულ ინტერესებს უკავშირებს, თუმცა „უტოპიურს“ უწოდებს.

— ვფიქრობ, ამ ტიპის პორტის აშენება რუსეთის ინტერესებში შედის. ეს სამხედრო ნავების სათადარიგო გასასვლელია სევასტოპოლიდან გაქცევის შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ ეს ფაქტობრივად სამხედრო ქალაქად ქცეული გალის რაიონის ბაზების მომარაგებას ემსახურება, მომავალში კი შეიძლება, სხვა სამხედრო ინტერესებიც გამოიკვეთოს. ვფიქრობ, პროექტის მიზანი სამხედრო პორტის შექმნაა, ეკონომიკური სარჩული კი მხოლოდ იმისთვისაა მოგონილი, რომ აფხაზური მხარე ამას წამოეგოს, —აღნიშნავს „პირველთან“ საუბარში ცქიტიშვილი და დასძენს, რომ „თავად ოჩამჩირე ამ ეტაპზე ამ პროექტთან შეუთავსებელია, რადგან ერთგვარ ჩიხს წარმოადგენს“.

ამასთან, ექსპერტის აზრით, ოჩამჩირეს საავტომობილო, საავიაციო და საზღვაო გზების კვეთად გადაქცევის იდეა უბრალოდ განუხორციელებელია.

— გეგმის შინაარსიდან გამომდინარე, საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა სცნოს, რაც სრულიად წარმოუდგენელია. ასე, რომ, თავად ეს გეგმა უტოპიურია და განხორციელებას არ ექვემდებარება, — განმარტავს ცქიტიშვილი.

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ „მსგავსი ინიციატივები საქართველოს და არა სხვა რომელიმე ქვეყნის მხრიდან უნდა იყოს შეთავაზებული“. ამასთან, ცქიტიშვილის მსგავსად, მასაც იდა უტოპიურად ეჩვენება.

— პროექტს განხორციელება არ უწერია, რადგან აფხაზები ლატვიასაც და ბალტიისპირეთსაც პროქართულ სახელმწიფოებად აღიქვამენ. გარდა ამისა, ეჭვი მეპარება, რუსეთმა ამ პროექტში ლატვიის ჩართულობა დაუშვას. მითუმეტეს, რომ მას ოჩამჩირეში საკმაოდ დიდი საზღვაო სამხედრო ბაზა აქვს, რომელსაც ახლა აფართოებს და არა მგონია, რუსეთმა მისი დათმობა მოისურვოს. მოგების მხრივ რუსეთს თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობა შეიძლება, გაგრაში აწყობდეს, მაგრამ არა ოჩამჩირეში, — განუცხადა „პირველს“ ზაქარეიშვილმა.


შოთა მალაშხია

სამხედრო ბაზის არსებობის ფონზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა არარეალურად მიაჩნია ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესაც, რომლის აზრით, „თუ იქაურობას სამხედროები არ მოშორდნენ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა არ გამოვა“. არეშიძე აქვე აღნიშნავს, რომ ეს იდეა ახალი არ არის და ამის თაობაზე საუბარი ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე მიმდინარეობდა.

— ამის თაობაზე დიდი ხანია, საუბრობდნენ - ჯერ კიდევ აგვისტოს ომამდე, როცა ლაშა ტუღუშმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ჩარჩოხელშეკრულების ფარგლებში ახალი ეკონომიკური მიდგომების თავისებური ვარიანტი მოამზადა. მასში გათვალისწინებული იყო


მამუკა არეშიძე

თავისუფალი ეკონომიკური რეგიონების შექმნა, მათ შორის - ოჩამჩირეშიც. სხვათა შორის, ამაზე საქართველოს მთავრობის ამჟამინდელ სტრატეგიაშიც არის გათვალისწინებული, მათ შორის - ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიაზე, — აცხადებს „პირთელთან“ საუბარში არეშიძე.

მისივე შეფასებით, „ლატვიელი მეცნიერის იდეა მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდება, ამ ეტაპზე კი ეს იდეა მკვდრადშობილი ბავშვია და მეტი არაფერი“.

— თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარებას რაც შეიძლება, მეტი სუბიექტის ჩართულობა სჭირდება, მაგრამ რადგან მსოფლიო თანამეგობრობა აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ სცნობს, ეს სუბიექტები ამ საქმეში ვერ იქნებიან ჩართულები, ან იქნებიან ისეთი ქვეყნების წარმამადგენელი ორგანიზაციები, რომლებიც აფხაზეთს სცნობენ, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით, ვერ ქმნიან მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკას, თუ არ ჩავთვლით რუსეთს. მას ისედაც შეუძლია ამის გაკეთება, თუ ეკონომიკის ამ თვალსაზრისით განვითარება დასჭირდა და ამ შემთხვევაშიც კი ეს ისეთივე თვალის ახვევა იქნება, როგორც რუსეთის დანარჩენი ქმედებები აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუმცა ეს იმდენად დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, არა მგონია, მოსკოვს ამ ეფემერული ეკონომიკის წარმატებაზე ფიქრი ულირდეს, — განმარტა მან.

არეშიძის აზრით, აფხაზეთში ასეთი ეკონომიკური ზონის შექმნა შესაძლებელია, თუ ეს ქართულ-აფხაზური პროექტი იქნება,


პაატა ზაქარეიშვილი

ისიც - გალის რაიონში, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს, რათა მხარეებმა მისი გაკონტროლება ერთად შეძლონ, ოჩამჩირეში კი ეს შეუძლებელი იქნება.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი შოთა მალაშხია კი დარწმუნებულია, რომ „აფხაზეთში დეოკუპაციამდე არანაირი თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ შეიქმნება“.

— ეს ის საკითხია, რომლის განხორციელებაც დეოკუპაციაზე და დევნილების დაბრუნებაზეა დამოკიდებული. აფხაზეთში საქართველოს სანქციის გარეშე ვერავითარი თავისუფალი ეკონომიკური ზონა ვერ შეიქმნება და ეს არც თავად რუსეთს აინტერესებს. რუსეთს იქ სამხედრო ბაზები აქვს და სულაც არ სჭირდება ზედმეტი თანხების გაღება იმაში, რასაც იცის, რომ საბოლოოდ აუცილებლად დაკარგავს. რუსეთმა კარგად იცის, რომ დეოკუპაცია ყველა ვარიანტში დაიწყება, იცის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს პოზიციები და თანხებს იმაში არ დახარჯავს, რაც საბოლოოდ საქართველოს დარჩება“ - განუმარტა „პირველს“ მალაშხიამ.

დეპუტატმა აქვე ისიც აღნიშნა, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივით აფხაზებს თავდაპირველად პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიმართა, როცა გალსა და ოჩამჩირეში თეზ-ის ამოქმედებისა და ოჩამჩირის პორტის გამოყენების წინადადებით გამოვიდა.

შეგახსენებთ, რომ ოჩამჩირეს თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარებისა და საზღვაო პორტის მშენებლობის მიზნობრივი პროგრამა დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციას ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ულდის ოსისმა წარუდგინა.

პროგრამა ახალი საზღვაო პორტის მშენებლობასა და ერთდროულად მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას მოიცავს. მის ძირითად მიზანს ოჩამჩირეს ღრმაწყლიანი ახალი სატვირთო პორტის მშენებლობის პროექტის შემუშავება-რეალიზაცია წარმოადგენს, რომლის გამტარუნარიანობა წელიწადში 10 მლნ ტონას შეადგენს.

პროგრამის ფარგლებში პორტის მიმდებარე ტერიტორიის, როგორც თავისუფალი ეკონომიკური ზონის განვითარებაა ნავარაუდევი, რომელიც ინოვაციურ ცენტრს, ინდუსტრიულ და სავაჭრო-გასართობ ზონებს, საგამოფენო კომპლექსს, სასტუმროებსა და სხვა ობიექტებს მოიცავს შესაბამისი ლოგისტიკური სისტემებით.

ამასთან, აღნიშნული გეგმის ფარგლებში ოჩამჩირე უახლოეს წლებში აფხაზეთის ექსპორტ-იმპორტისა და ინდუსტრიის წამყვან ცენტრად უნდა იქცეს, რომელშიც ექსპორტისთვის ტექნოლოგიურად რთული, მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტები შეიქმნება.

**პირველი**

# აგვისტოში საქართველოს 355 924 უცხოელი ვიზიტორი ეწვია

მიმდინარე წელს საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი სომხეთიდან შემოვიდა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემებით, 2011 წლის აგვისტოში ქვეყანას 355 924 უცხოელი ვიზიტორი ეწვია. ეს კი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 37 პროცენტით მაღალი მაჩვენებელია. აქედან 112 957 მოქალაქე სომხეთიდან იყო. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 80 542, ხოლო მესამეზე თურქეთი 63 224 ადამიანით.

რაც შეეხება ევროკავშირს, ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული ქვეყნებიდან მიმდინარე წლის აგვისტოს საქართველოს 20 067 ვიზიტორი სტუმრობდა.



მიმდინარე წლის აგვისტოში ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი საქართველოსა და სხვა ქვეყნების 101 790-მა მოქალაქემ გადაკვეთა. აქედან 54 პროცენტი, ანუ 54 741 მოქალაქე რუსეთის ფედერაციის, 31 პროცენტი, ანუ 32 100 მოქალაქე სომხეთის, 8 პროცენტი, ანუ 7 950 მოქალაქე საქართველოს, 3 პროცენტი, ანუ 3 455 მოქალაქე უკრაინის, ასევე 3 პროცენტი, ანუ 2 756 აზერბაიჯანის, ხოლო 1 პროცენტი, შესაბამისად, 782 მოქალაქე სხვა ქვეყნების წარმომადგენელია.

რაც შეეხება უშუალოდ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებმაც ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი გადაკვეთეს, ყველაზე მეტი 4 076 ადამიანი, ანუ 84 პროცენტი ჩრდილოეთ ოსეთის, 243 ადამიანი, ანუ 5 პროცენტი ყაბარდო-ბალყარეთის, 151, ანუ 3 პროცენტი ადიღეს, 139, ანუ 3 პროცენტი დაღესტნის, 128, ანუ 3 პროცენტი ყარაჩაი-ჩერქეზეთის, 89, ანუ 2 პროცენტი ჩეჩნეთის, ხოლო 26, ანუ 0,10 პროცენტი ინგუშეთის მცხოვრებია.

**მედიანიუსი**

# ვინ ვინ არის

**„ახალი თაობა" გთავაზობთ ახალ რუბრიკას — „ვინ ვინ არის". ამ რუბრიკაში ჩვენ მოგაწვდით ცნობებს ქართველ პოლიტიკოსებზე, საჯარო მოხელეებზე და სხვა ადამიანებზე, რომელთაც ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.**

**გრიგოლ ვაშაძე** — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

დაიბადა 1958 წლის 19 ივლისს თბილისში.

1981 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

1981-1988 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, ხოლო შემდეგ — კოსმოსის და ბირთვული შეიარაღებების განყოფილებაში.



1988-1990 წლებში იყო დიპლომატიური აკადემიის ასპირანტი.

1990 წლიდან 2008 წლამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით და ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ კომპანიებს.

2008 წლის 6 თებერვალს დაინიშნა საქართველოს საგარეო მინისტრის მოადგილედ.

2008 წლის 1 ნოემბერს დაინიშნა კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრად.

2008 წლის დეკემბერს დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად.

ფლობს რუსულ, ინგლისურ, პორტუგალიურ, იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

ჰყავს მეუღლე — ნინო ანანიაშვილი და ორი — შვილი ნოდარი და ელენე. მისი შვილი, ნოდარი, ამჟამად რუსეთში ცხოვრობს და რუსეთის მოქალაქეა.

რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა საქართველოს საგარეო მინისტრსაც. ეს საქართველოსა და რუსეთშიც დიდ გაკვირვებას იწვევდა, რადგან ვაშაძე დაუნდობლად აკრიტიკებდა მოსკოვსა და მის პოლიტიკას. 2010 წელს მან რუსეთის პრეზიდენტს რუსეთის მოქალაქის პასპორტი გაუგზავნა და ამით რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა.

***

გრიგოლ ვაშაძის ქონებრივი მდგომარეობა საკმაოდ საინტერესოა — მთელი მოძრავი და უძრავი ქონება მისი მეუღლის, ნინო ანანიაშვილის, სახელზეა რეგისტრირებული.

ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის თბილისში მეტეხის აღმართზე მდებარე ბინა, რომლის ფართი 1000 კვ.მ.-ია.

მისივე სახელზეა რეგისტრირებული მოსკოვში კოტელნიჩენსკიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლი. ბინის ფართი შეადგენს 140 კვ.მ.-ს.

ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის წინანდალში მიწის ნაკვეთი, რომლის ფართიც 1.100.000 კვ.მ.-ია.

საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლეს ეკუთვნის ასევე ორი მსუბუქი ავტომობილი: „ტოიოტა რავ4“ და „ტოიოტა ლენდროვერი“.

გრიგოლ ვაშაძე და მისი ოჯახი არ ფლობენ რაიმე ტიპის ფასიან ქაღალდღებს. ყოველ შემთხვევაში, დეკლარაციაში ამის შესახებ არაფერი არ წერია.

ფასიანი ქაღალდები არა აქვს, მაგრამ ფულს მინისტრი ზოგავს. „თი-ბი-სი“ ბანკში მას 14.000 აშშ დოლარის ანაბარი აქვს. „კრედიტბანკსეისს“ კი 160.000 აშშ დოლარი მიაბარა.

სამეწარმეო საქმიანობაში გრიგოლ ვაშაძე პირადად არ მონაწილეობს. ქონებრივ დეკლარაციაში უწერია, რომ ფირმის, „გრიგოლ ვაშაძე და ძმები“, მეპატრონე არის მისი მეუღლე, ნინო ანანიაშვილი.

ეს ფირმა თელავის რაიონულმა სასამართლომ რეგისტრაციაში 2001 წლის 24 აგვისტოს გაატარა.

გასულ წელს ვაშაძემ ჯამაგირის სახით 81.960 ლარი მიიღო. ნინო ანანიაშვილმა, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია, გასულ წელს მეუღლეზე მეტი გამოიმუშავა. მისი ჯამაგირი 89.600 ლარი იყო.

***

ქართული დიპლომატიის ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე მედიისა და ოპოზიციის ყურადღების ცენტრში ბევრჯერ მოექცა. განსაკუთრებული ინტერესს მისი წარსული იწვევს. ის მოსკოვში საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზე მუშაობდა. ასეთ თანამდებობებზე კი შემთხვევით არ ხვდებიან.

მედიის ყურადღების ცენტრში ის სხვა მიზეზებითაც მოექცა. საგარეო უწყების ხელმძღვანელს ბევრი უცნაური განცხადება აქვს გაკეთებული. ამ ზაფხულს კი მან ქართულ მედიას „ე.წ. პრესა“ უწოდა.

ეს იარლიყი მინისტრმა ფოტოგრაფების სკანდალის შემდეგ მოგვაწება. მხოლოდ იმის გამო, რომ მედიას ფოტორეპორტიორების ჯაშუშობის არ სჯეროდა. ამასთან, მედია მისი პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც ითხოვდა. რადგან გია აბდალაძე, რომელიც ხელისუფლების მტკიცებით, ჯაშუში იყო, საგარეო სამინისტროშიც მუშაობდა და, ეს თუ ასე იყო, წესით, მინისტრსაც უნდა ეგო პასუხი.

# შამბას პროდასავლურობაზე საუბარი სასაცილოა

## თბილისი ცხინვალის არჩევნებს არ აღიარებს

ნანა მიშელაშვილი

პარლამენტმა შესაძლოა სამხრეთ ოსეთის დეფაქტო არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთოს.

სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბრისთვის არის დანიშნული. საქართველოს ხელისუფლება არც სამხრეთ ოსეთში და არც აფხაზეთში დანიშნულ არჩევნებს არ ცნობს.

სამხრეთ ოსეთში არჩევნებთან ერთად გაიმართება რეფერენდუმიც, სახელმწიფო ენებად ოსურისა და რუსულის გამოცხადების შესახებ.

სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოს ხელისუფლების მსგავსად არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ცნობს. ისევე, როგორც ეს მოხდა აფხაზეთში ჩატარებული არჩევნებისას.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი აცხადებს, რომ ინფორმირებული არ არის იმის შესახებ, რა ურთიერთობაა ახლა კრემლსა და ლოკალურ ბანდებს შორის და რომელ ბანდას დაუჭერს მოსკოვი მხარს.

— ფაქტია, რომ არანაირ თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკი არ არის, იქ, სადაც ადამიანები ეთნიკური წმენდის შედეგად არიან გამოყრილები. ძალიან მიკვირს ქართველი „ექსპერტების“ აღფრთოვანება ან აფხაზური ან ოსური ე.წ. არჩევნებით. ეს არის არჩევნები, რომელიც ტარდება გვამებზე ეთნიკური წმენდის შემდეგ. ეს არის არჩევნები, რომელსაც წყვეტს რუსეთი. ეს არის ტერიტორია, რომელსაც აკონტროლებს რუსული შეიარაღებული ნაწილები. ასე რომ, არანაირი პოლიტიკური პროცესი იქ არ მიმდინარეობს, იქ მიმდინარეობს გავლენების გაყოფა, — ასეთია გოკა გაბაშვილის შეფასება.

რაც შეეხება აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს და სერგეი შამბას წარუმატებლობას, ზოგიერთი ექსპერტი შამბას დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებულს უწოდებს.

— ვისაც სერგეი შამბა დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული ჰგონია, ან დასავლურ ღირებულებებს არ იცნობს, ან სერგეი შამბას. ეს არის შიდა თამაშები დაპირისპირებული ბანდების და ჯგუფების. არჩევნების ჩატარება იქ, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იარაღის ძალით გამოყრილი გყავს და ტერორითა და იარაღით ინარჩუნებ სიტუაციას, რაიმე სახის არჩევნებზე საუბარი აბსურდულია, - აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.


სერგეი შამბა

სამხრეთ ოსეთში დაგეგმილ არჩევნებთან და იქ არსებულ დაპირისპირებაზე კომენტარი გააკეთა ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ.

— როგორც კი არჩევნები მოახლოვდება, სამხრეთ ოსეთში ურთიერთობა კანდიდატებს შორის დაიძაბება. თედეევებსა და კოკოითების დაჯგუფებები სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ერთმანეთზე გადაკიდებული. შესაბამისად, ძალიან მძიმე არჩევნები იქნება. კონკრეტული მიმართულებით, შესაძლოა დესტაბილიზაციის საფრთხე შეიქმნას, ძალიან ფრთილად უნდა ვიყოთ რა პროცესებიც იქ განვითარდება. ნებისმიერი ტიპის დაპირისპირების შემთხვევაში, რომ ეს დაპირისპირება ქართულ სოფლებზე არ გადმოვიდეს, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

მისი თქმით, ყველა კანდიდატი, რომელიც სამხრეთ ოსეთში დასახელებული იქნება, გარკვეული კონტაქტი აქვს რუსეთში რომელიღაც ჯგუფთან.

— ეს არის შიდა რუსული კონკურენცია, რომელიც გადაისახება დაპირისპირებაში. ვერ ვიტყვით, რომ ან ხაჯიმბას, ან შამბას არ ჰქონდა რუსეთში რომელიღაც ჯგუფთან ურთიერთობა, უბრალოდ, რუსეთში გაიმარჯვა და აჯობა იმ ჯგუფმა, რომელიც ანქვაბს მფარველობდა. ასე რომ, ერთიანი რუსული პოზიცია, ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი, არ არსებობს, უფრო მეტად იქნება შიდა რუსული კონკურენცია იმისათვის, რომ მის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა გაიმარჯვოს, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

# აფხაზებს სრული განადგურება ემუქრებათ

## რატომ ვერ სწავლობენ აფხაზი ბავშვები აფხაზურ ენას

გულიკო ბალა ე

### ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

***— ბატონო მამუკა, თქვენ, ალბათ, გაქვთ ინფორმაცია აფხაზეთში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების შესახებ. როგორია თქვენი შეფასებები?***

— კარგია, რომ შეფასებას ცხელ გულზე არ ვაკეთებ. როგორი შეფასება შეიძლება იყოს — ნებისმიერი ქართველისათვის, დემოკრატისთვის აფხაზეთში არსებული ვითარება უარყოფითად უნდა აღიქმებოდეს. იმ ტერიტორიაზე, სადაც მოხდა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ეთნიკური წმენდა.

***— გენოციდიც იყო...***

— გენოციდიც იყო, გაეროს რამდენიმე რეზოლუციაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს ამ ტერიტორიაზე მოხდა ეთნიკური წმენდა. არაფერს ახალს არ ვამბობ. უბრალოდ, ამას ვიმეორებ იმ ყრუებისა და ბრმების გასაგონად, რომლებსაც არ უნდათ დაინახონ და გაიგონ აფხაზეთში შექმნილი რეალობა. რამდენიმე რეზოლუციაში ითქვა, რომ აფხაზეთში მოხდა მოსახლეობის ეთნიკური წმენდა, ანუ ძალადობის გამოყენებით მოხდა ქართველების აბსოლუტური უმრავლესობის გამოდევნა. ერთი რაიონია, სადაც ყოველგვარი უსაფრთხოების დაცვის გარეშე მოსახლეობა ცხოვრობს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ახლახან ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობის თვალსაზრისით, არჩევნები მიმდინარეობდა ძალიან მწვავე სიტუაციაში. მინდა ყოველგვარი პროპაგანდის ელემენტისაგან და პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი ვიყო და აღგიწეროთ ის რეალობა, რაც იყო ამ პერიოდში აფხაზეთში. როგორ შეიძლება იმ არჩევნებს დემოკრატიული დავუძახოთ, როცა ზოგადად ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ დიდი რაოდენობით ადამიანებს, ქართველების აბსოლუტურ უმრავლესობას, განსაკუთრებით გალში, მათი კანონებითაც კი, ხმის უფლება წართმეული ჰქონდა. მიმდინარეობდა მოსახლეობაზე ზეწოლა. მასწავლებლებს ემუქრებოდნენ. ვიცი მომენტებო, როცა მასწავლებლებს ეუბნებოდნენ, არ გინდა, რომ სკოლაში იმუშაო? თუ სკოლაში მუშაობა გინდა, მაშინ მოდი არჩევნებზე. ამას აკეთებდა ქალაქის, რაიონისა და სოფლის ადგილობრივი ადმინისტრაცია. როდესაც ასეთ პირობებში ტარდება არჩევნები, როგორ შეიძლება მას დემოკრატიული უწოდო? რატომ არ აღიარა მთელმა მსოფლიომ ახლა ეს „არჩევნები“ ლეგიტიმურად? — იმიტომ, რომ ამის აღიარება მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების სირცხვილი იქნებოდა. ასეთი არჩევნების აღიარება არ მოხდება. ეს შეიძლება აღიაროს რუსეთმა, ნიკარაგუამ და მსგავსმა გამარგინალებულმა სახელმწიფოებმა. თუმცა, რუსეთზე გამარგინალებულის წოდება ცოტა რთულია, დიდი სახელმწიფოა და ამ სიტუაციაში ძალის ფაქტორიდან გამოდის.

***— ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართველებისაგან განსხვავებით, იქ დარჩენილმა აფხაზურმა ნაწილმა შეძლო ხელისუფლების გადაცემა კონსტიტუციური გზით და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ. ამიტომ ერქმევა მას დემოკრატიული არჩევნები. ის, რომ მოქმედი პრემიერის პირობებში, იგულისხმება სერგეი შამბა, სხვა პიროვნებამ გაიმარჯვა, ამაზე რას იტყვით?***

— ვინც ასეთ განცხადებას აკეთებს, არის ანგაჟირებული ან უბრალოდ ბრიყვი, რომელმაც არ იცის აფხაზეთში არსებული რეალური ვითარება. როგორც ვიცით, პრეზიდენტობის კანდიდატად სამი პირი იყრიდა კენჭს. სამივე სუფთა პრორუსული. ამიტომ ამ არჩევნებს თავიდან ბოლომდე ფსბ აკონტროლებდა. ეს ხომ ყველამ ვიცით. ამიტომ რუსეთმა ბრიყვებისა და პროფანების დასანახად ანკესი გადმოაგდო, აფხაზეთში დემოკრატია გაითამაშა — მოხდა დაპირისპირებულთა ერთიანობა. რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, ხაჯინბა იქნებოდა, შამბა თუ ანქვაბი.

***— ისე, ფაქტია, რომ არძინბასაც კი არ უცდია მესამე ვადით დარჩენა. ჩვენთან კი რას აღარ აკეთებენ — აყალბებენ, კონსტიტუციას ცვლიან და ათას მაქინაციებს მიმართავენ, რომ მესამე და მეოთხე ვადით დარჩნენ ხელისუფლებაში.***

— არძინბამ სცადა თუ არა, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არძინბას რაც უთხრეს, ის გააკეთა. არძინბა იყო რუსეთის ნების შემსრულებელი. საქართველოში ზუსტად ისეთი ადამიანების გამოისობით ვერ იცვლება ხელისუფლება კონსტიტუციურად, ვინც აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების თაობაზე მსგავს შეფასებას აკეთებს. 1992 წლიდან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ასეთი ადამიანები რომ ტივტივებდნენ, ზუსტად იმიტომ ვერ მოხდა ხელისუფლების კონსტიტუციური ცვლილება.

***— მოდით, უფრო პოლიტიკური პროცესის შეფასება მოვახდინოთ — ფაქტი ხომ არის, რომ ჩვენ მართლაც ვერ მოვახერხეთ კონსტიტუციური გზით ხელისუფლების შეცვლა?***

— ეს არის სამწუხარო ფაქტი, მაგრამ იმის გამო, რომ აფხაზეთში „ხელისუფლება“ შეიცვლა, მას დემოკრატიული უწოდო, არ შეიძლება. არავითარ დემოკრატიასა და დემოკრატიულ არჩევნებზე ლაპარაკი არ შეიძლება, როდესაც იმ ტერიტორიიდან მოსახლეობის 45% გარეთ არის გამოყრილი და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლება არ აქვს.

***— მოსახლეობა რომ გამოყრილია და ვერ მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, ამას ყველა აღიარებს. საუბარია მათზე, ვინც აფხაზეთში დარჩა.***

— ღმერთმა ნუ ქნას, 100 წელი რომ გავიდეს, აფხაზეთში დარჩენილები ისევ ისე შეეცდებიან, ვითომ არჩევნების ჩატარებას და ცვლილებას. ეს არის დაპირისპირებულთა ერთიანობა. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ ზოგადად ერთი შეხედულების არიან, რომ ქართველები, დევნილები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ უნდა დაბრუნდნენ და მათ გარეშე უნდა ჩატარდეს არჩევნები. ასეთ „არჩევნებს“ ისინი ყოველთვის ჩაატარებენ. ეს იმ ადამიანებისთვისაა სამარცხვინო, ვინც აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს დემოკრატიულს უწოდებს.

***— იმ პირობებსა და გარემოცვაში, რომელშიც საქართველო იმყოფება, პოლიტიკური სპექტრი რატომ ვერ ახერხებთ შეთანხმებას, რასაც ახერხებენ, ვთქვათ, აფხაზეთში დაპირისპირებული ძალები?***

— საქართველოში ეს ახალი არ არის. საქართველოს უახლეს ისტორიაში ამის მაგალითები ბევრია. არიან პოლიტიკოსები, რომლებიც კრემლში დადიან და პუტინს ანგარიშს აბარებენ. ისინი არიან მოსყიდული ადამიანები. როდესაც ასეთი ადამიანები გყავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გეოპოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას ცდილობენ, ამ პირობებში შეთანხმება ვერ მოხდება.

***— ბატონო მამუკა, ნაწილი პოლიტიკოსებისა მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოლაპარაკების, დიალოგის გზით უნდა ვიაროთ, ნაწილი პოლიტიკოსებისა მიიჩნევს, რომ ეს სრულიად გამორიცხულია, რუსეთთან შეუძლებელია საერთო ენის გამონახვა და დასავლეთთან, ამერიკასთან ინტეგრირება უნდა მოხდეს. ეს დაპირისპირებულთა ჯგუფები მუდმივად ურთიერთბრალდებების რეჟიმში იმყოფებიან და შეთანხმებას ვერ ახერხებენ. ერთი ნაწილი პოლიტიკოსებისა აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამერიკის ჭკუით დადის, მეორე ნაწილი კი პუტინისთვის ანგარიშის ჩაბარებაზე საუბრობს. რატომ ვერ ხერხდება შეთანხმება ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ერთ პრინციპზე?***

— თანამედროვე ეპოქა არის განსხვავებულების და განსხვავებულობის თანაარსებობის ეპოქა. ჩვენ მათთან თანაარსებობა უნდა შეგვეძლოს, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში. ამაზე არავინ დავობს, მაგრამ როდესაც ამ საკითხზე ვერ თანხმდებიან, ამას საფუძვლად უდევს განსხვავება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციებს შორის. რა განსხვავებაა პრორუსულ ორიენტაციასა და პროდასავლურ ორიენტაციას შორის? რუსეთს აინტერესებს ძალიან სუსტი და მორჩილი საქართველო თავის საზღვართან, ხოლო დასავლეთის, იმავე ამერიკის ინტერესებშია ძლიერი საქართველო იმიტომ, რომ მისი პოლიტიკა აქ გაიმარჯვებს. მაგრამ, როდესაც პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული გამარგინალებული რევოლუციაზე, სისხლისღვრასა და ტყვიებზე მეოცნებე პოლიტიკოსები კიდევ არიან საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში, ხელს უშლის მოვლენების პოლიტიკურ ჭრილში წარმართვას. ამის დაძლევა ყველას გვმართებს. ძირითადი პროგრესული პოლიტიკური სპექტრი შეთანხმებულია იმაზე, რომ ხელისუფლება საქართველოში უნდა შეიცვალოს კონსტიტუციური გზით. სხვანაირად, საქართველოში ხელისუფლების ცვლილება იქნება ქვეყნის დაქცევა.

***— ბატონო მამუკა, რას უნდა ველოდოთ ანქვაბის არჩევისაგან?***

— ერთი გაუხმაურებელი და საინტერესო ფაქტი მინდა გითხრათ — მამაჩემი კულტურის მუშაკი იყო. მას თანამშრომლები ჰყავდა მექვაბიები და ანქვაბები. ამ ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რომ გუდაუთელი ანქვაბები და ოჩამჩირელი მექვაბიები წარმოშობით რაჭველი მექვაბიშვილები არიან. როგორც ისინი ამტკიცებდნენ, ეს არ არის დიდი გვარი აფხაზეთში. არის ერთმანეთის მონათესავე სამი გვარი: ანქვაბი, მექვაბია და მექვაბიშვილი. რამდენადაც ვიცი, თვითონაც იციან, რომ ისინი წარმოშობით რაჭველები არიან, რომლებიც დიდი ხნის წინ იქნენ გადასახლებულები აფხაზეთში და შემდეგ ანქვაბები გახდნენ. თუმცა, ამას ახლა არავითარი სერიოზული გავლენის მოხდენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე არ შეუძლია. სამივე კანდიდატი იყო რუსეთის კონტროლქვეშ. ამიტომ იმ სამიდან ვინ გაიმარჯვებდა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ზოგადად რუსეთისათვის.


მამუკა გვაძაბია

***— რუსეთისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართული წარმოშობისა იქნებოდა თუ არა?***

— არა. ქართულ წარმოშობაზე ისე მივუთითე, თორემ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს დიდი ხნის წინანდელი ამბავია — ცნობილია აფხაზეთში მოსახლეობაში როგორ ხდებოდა გადასვლა-გადმოსვლა, მაგრამ ფაქტია, რომ ბაღაფში მოკლეს (ბაღაფშის მკვლელობა ახლა აღიარეს და ახლა დაიწყეს ამაზე ლაპარაკი), რაც წითელი ბარათის ამოღებაა დანარჩენი კანდიდატებისთვის. ბაღაფშის მკვლელობა გაფრთხილება იყო აფხაზეთში დარჩენილი თუ მომავალი პოლიტიკოსებისთვის. ეს ყველამ იცის, მაგრამ აფხაზურ საზოგადოებას ამის თქმა არ აწყობს. უახლოეს მომავალში გარკვეულ ძვრებს ახალ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებისა თუ დევნილების დაბრუნების თვალსაზრისით, არ ველოდები. ანქვაბის ხელისუფლებისაგან ველოდები დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრებას. ის უფრო ავტორიტარი მმართველი იქნება, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო შამბა. ეტყობა აფხაზურ საზოგადოებას ავტორიტარი მმართველი მოსწონს, რადგან ხმების უმეტესი რაოდენობა ანქვაბმა მიიღო. არავითარ სერიოზულ ძვრებს ჩვენს სასიკეთოდ ადგილი არ ექნება. სოჭის ოლიმპიადა მოდის. სოჭის ოლიმპიადის დაწყებამდე ფაქტობრივად, მოდერნიზებული, თანამედროვე ბერლინის კედელი აღიმართება საოკუპაციო ხაზზე. იგეგმება 3 თუ 4 ოფიციალური გამშვები პუნქტის გაკეთება, სადაც დადგებიან რუსეთის ფსბ-ს წარმომადგენლები.

***— აფხაზეთსა და სოჭს შორის თუ აქეთ?***

— რუსეთის ფსბ-ს თანამშრომლები ენგურზე დადგებიან, ფსოუზე ვინ დადგება, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. რუსეთისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ენგურზე ვინ დადგება და ენგურზე რა სიტუაცია შეიქმნება. დღეს ენგური არის რუსეთ-საქართველოს ფაქტობრივი საზღვარი. ენგური არის საოკუპაციო ხაზი და ამავე დროს რუსეთ-საქართველოს ფაქტობრივი საზღვარი. ამ საზღვარს, როგორც თავის საზღვარს, ისე იცავს რუსეთი. თუ რამეს მოკრავთ ყურს პროპაგანდის კუთხით, რომ ისინი აფხაზეთთან თანამშრომლობენ, უნდა იცოდეთ, რომ იქ არავითარი თანამშრომლობა არ არის. მიდის აფხაზეთში მაცხოვრებელი ყველა ეთნოსის გეგმაზომიერი გარუსება. პირდაპირ სკოლებში უვარდებიან.

***— ბატონო მამუკა, აქამდე ამბობდნენ, რომ სრული ოკუპაციის პირობებში არის საფრთხე აფხაზების, როგორც ერის გაქრობისა, ახლა კი ზოგი ამბობს, ეს მხოლოდ პროპაგანდაა — არანაირი გაქრობა მათ არ ელოდებათ.***

— კარგად ვიცი, სოხუმში, ბიჭვინთაში, ოჩამჩირეში რა ხდება — ახალგაზრდებმა განსაკუთრებით ქალაქში აფხაზური არ იციან. ქართულ სკოლებში აფხაზურის სწავლება რომ დაიწყეს, ქართველმა უფრო აითვის აფხაზური, ვიდრე აფხაზმა ახალგაზრდებმა. წარმოიდგინეთ რასთან გვაქვს საქმე. არავითარი პროპაგანდა ეს არ არის, რეალობაა.

# ნიკოლოზ რურუამ ღირსების ორდენები დაარიგა

ეკა ირემაშვილი


ნიკოლოზ რურუა

**საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენლები დავით მონავარდისაშვილი და ზურაბ ლომი ე ღირსების ორდენებით დააჯილდოვა.**

**ღირსების ორდენებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შედგა. ნიკოლოზ რურუამ დავით მონავარდისაშვილი და ზურაბ ლომი ე საქართველოს პრეზიდენტის 2911 წლის 21 ივლისის – 21%9§%93 განკარგულების საფუ ველზე დააჯილდოვა.**

დავით მონავარდისაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საბალეტო სპექტაკლების სცენოგრაფიის შექმნისა და თეატრალურ მხატვრობაში მიღწეული განსაკუთრებული წარმატებებისთვის, ხოლო ზურაბ ლომიძე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოვდნენ.

დავით მონავარდისაშვილი 2004-2009 წლებში თანამშრომლობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასთან. იგი თეატრში განხორციელებული რამდენიმე ბალეტის დამდგმელი მხატვარია. მათ შორის აღსანიშნავია „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (თრეი მაკინტაერის ქორეოგრაფია), მიოლერის „ციმბირიდან მოსკოვამდე“ (ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფია. თბილისში დაიდგა დანიის სამეფო ბალეტის ქორეოგრაფების მიერ), მესაჟეს „ორი მტრედი“ (ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფია). 2007 წელს ალექსანდრე ვასილიევთან ერთად მან შექმნა კრეინის ბალეტ „ლაურენსიას“ სცენოგრაფია ვახტანგ ჭაბუკიანის ამავე სახელწოდების ცნობილი ბალეტისათვის. დავით მონავარდისაშვილი მონაწილეობდა ჯორჯ ბალანჩინის, ფრედერიკ ეშტონისა და ავგუსტ ბურნონვილის ბალეტების სცენოგრაფიის განხორციელებაში. 2009 წელს იგი მიწვეულ იქნა ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც გააფორმა მინკუსის ბალეტი „ბაიადერა“.

— დავით მონავარდისაშვილი ოპერისა და ბალეტის თეატრს ემსახურება ძალიან დიდითავდადებით და მონდომებით. ბოლო 10 წლის განმავლობაში მისი შექმნილი სცენოგრაფიები ამშვენებს ოპერას. ეს არის ადამიანი, ვისი შრომის უნარიც აოცებს ყველას, ვინ მას იცნობს. დავით მონავარდისაშვილს უმოკლეს ვადებში ურთულესი ამოცანები შეუსრულებია. რაც შეეხება ზურაბ ლომიძეს, ყველაზე რთულ პერიოდში, როდესაც ჩვენი სახელმწიფო მოშლილი იყო, მისი ძალისხმევით, ოპერა ჩვენამდე მოვიდა, — განაცხადა დაჯილდოების ცერემონიალზე კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას კულტურის სამინისტროს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. მოწვეულ სტუმართა შორის იყო ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელი, პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი. სწორედ მას ერგო პატივი, თავისი თანამშრომლებისთვის ღირსების ორდენები გულზე დაემაგრებინა.

— მიხარია, რომ დავით მონავარდისაშვილი მე წავართვი მხატვრობას და სკულპტურას და წამოვიყვანე ოპერაში, იმიტომ, რომ ის, რასაც ჩვენ ოპერაში აკეთებს მსოფლიო მოწონებას იმსახურებს. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ეს ორი თავდადებული ადამიანი, რომლებიც წლებია ქართულ ოპერასა და ბალეტს ემსახურებიან, ღირსების ორდენებით დავაჯილდოვე, — განაცხადა პრიმა-ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა.

ღირსების ორდენის მეორე კავალერი — ზურაბ ლომიძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მნიშვნელოვანი თეატრალური დადგმები განხორციელდა. თეატრს გასტროლები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასული საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო დაპირისპირებისა და არეულობის წლები. ზურაბ ლომიძის ხელმძღვანელობით თეატრში არ შეწყვეტილა შემოქმედებითი ცხოვრება, იმართებოდა პრემიერები. ეკონომიური და ენერგეტიკული პრობლემების მიუხედავად შესაძლებელი გახდა დასის შენარჩუნება, თეატრის მატერიალური ბაზა გადაურჩა განადგურებას. ამჟამად ზურაბ ლომიძე, როგორც თეატრის ტექნიკური დირექტორი, თეატრის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ხელმძღვანელობს.

— მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ყველაფერს ვაკეთებდი ჩემი სამშობლოსთვის და იმ ადამიანებისთვის, ვინც მიყვარს. დიდი მადლობა იმ ადამიანებს, ვინც შრომა დამიფასა, — განაცხადა ზურაბ ლომიძემ.

ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენელთა ღირსების ორდენებით დაჯილდოებამდე კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა მიმდინარე პროექტის „სუვენირები საქართველოდან“ პირველი ეტაპის და ამავე სახელწოდების კატალოგის პრეზენტაცია. პრეზენტაციას კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ხალხური რეწვის ოსტატები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

# საბალეტო დასი გორში იცეკვებს

ეკა ირემაშვილი

**8 სექტემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმ ღვანელობით გორელი მაყურებლისთვის საქველმოქმედო კონცერტს გამართავს. ფოთისა და ქუთაისის შემდეგ ნინო ანანიაშვილი ქდა ქართული საბალეტო დასი უკვე გორელი მაყურებლისთვის იცეკვებს.**

კონცერტი შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ არსოშვილის ინიციატივით და გორის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ტარდება. საქველმოქმედო ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი უმასპინძლებს. აღნიშნული საბალეტო დასის წევრები საცეკვაო ნომრებს სხვადასხვა საბალეტო სპექტაკლებიდან შეასრულებენ.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საბალეტო დასი გორში კონცერტს პირველად მართავს. მსურველები ღონისძიებაზე დასწრებას სპეციალური მოსაწვევების საშუალებით უფასოდ შეძლებენ.

საბალეტო დასის საქველმოქმედო კონცერტამდე გორში დიზაინერები და მოდელები ჩავიდნენ. მოდის სახლმა „ზენკა და მარი“ შემოდგომა-ზამთრის კოლექციის ჩვენება გამართა. დეფილე გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ეზოში ჩატარდა. ღონისძიება შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ არსოშვილის ინიციატივით და გორის მუნიციპლიტეტის ორგანიზებით მოეწყო, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოსახლეობა დაესწრო. დეფილეს დასრულების შემდეგ გაიმართება კონცერტი, სადაც ჯეოსტარელებმა და ადგილობრივმა შემსრულებლებმა იმღერეს.

— აღნიშნული დიზაინერების ნამუშევრები პროფესიონალმა მოდელებმა წარმოადგინეს. ჩვენ გვინდოდა, რომ გორელ მოდის მოყვარულებს მათივე ქალაქში შეძლებოდათ თანამედროვე ქართველი დიზაინერების ნამუშევრების გაცნობა და შეფასება, — განაცხადეს გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურში.

12 სექტემბერს სოფელ ნიქოზში პირველი საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი ჩატარდება. შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის ცნობით, ფესტივალი ნიქოზის ხელოვნების სკოლის ინიციატივით, ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) ლოცვა-კურთხევით და შიდა ქართლის გუბერნატორ ზურაბ არსოშვილის მხარდაჭერით გაიმართება.

ფესტივალში აშშ-ის, პოლონეთის, ბელორუსის, აზერბაიჯანისა და რუსეთის დელეგაციები მიიღებენ მონაწილეობას. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ანიმაციური ფილმების ჩვენება, ნიქოზის ანიმაციის სტუდიის ბავშვებისთვის პროფესიონალი ანიმატორებისგან მასტერკლასების ჩატარება და კულტურული ღონისძიებები, რომელშიც ანჩისხატის მგალობელთა გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „გორი“ და „ჩრდილების თეატრი“ მიიღებენ მონაწილეობას.





## SMS-განცხადებები - 3090

**● ექიმი და იურისტი ცოლ-ქმარი, უპატრონებენ უცხოეთში წამსვლელების ბინას, შიგ ცხოვრებით, ვართ სერიოზული ადამიანები. ტელ.: 599-49-84-23. ნანა.**

**● იყიდება 2-სართულიანი სახლი სურამში, 11 მეასედი მიწის ნაკვეთით, ტყესთან ახლოს. 8-790-57-02-49.**

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვებავარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

# ზესტაფონმა სამწვრთნელო შტაბი წარადგინა

როგორც მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში ავსტრიულ „შტურმთან“ წარუმატებელი დუელის შემდეგ, თანამდებობა საკუთარი ნებით დატოვა ზესტაფონელთა გაჩემპიონების მთავარმა სულის ჩამდგმელმა გია გეგუჩაძემ. მისი წასვლის შემდეგ, ევროპის ლიგაზე გუნდს დროებით გეგუჩაძის თანაშემწე გია ჭიაბრიშვილი ხელმძღვანელობდა.

საუბრები ახალი მწვრთნელის მოყვანაზეც იყო, მაგრამ ყველაფერს წერტილი დაესვა — „დავით აბაშიძის“ სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ იქ შეკრებილ ჟურნალისტებს და კლუბის ერთგულ ქომაგებს გია ჭიაბრიშვილი წარუდგინა როგორც კლუბის მთავარი მწვრთნელი, რომელმაც გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**სერგო ფუტკარაძე:**

— სამწუხაროდ, ჩვენი კლუბი დატოვა გია გეგუჩაძემ, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის „ზესტაფონის“ გაჩემპიონებაში. მინდა გაცნობოთ, რომ კლუბის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, დღეიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი გია ჭიაბრიშვილი იქნება. მისი თავკაცობით გუნდმა ღირსეულად ითამაშა ევროპის ლიგაზე „ბრიუგესთან“ და ეროვნულ ჩემპიონატში თბილისის „დინამოსთან“. ბატონი გიასთვის ჩვენი კლუბი უცხო არ არის და იგი დღეს თავის ახალ სამწვრთნელო შტაბს გაგვაცნობს.

**გია ჭიაბრიშვილი:**

— უპირველესად უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის დიდი პატივია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ გაწვრთნა. 3 წელიწადია ვმუშაობ აქ ბატონ გია გეგუჩაძესთან ერთად, რომელიც ჩემი აზრით, ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელი გახლავთ. ქვეყნის ჩემპიონი გუნდის წინამძღოლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. მე ამ საქმეში დამეხმარება, წარსულში თქვენთვის კარგად ნაცნობი ფეხბურთელი გიორგი ყიფიანი, ხოლო „ზესტაფონი-2-ს“ თემურ გიორგობიანი უხელმძღვანელებს, რომელიც ასევე კურატორობას გაუწევს საფეხბურთო აკადემიას. გუნდი ისეა აწყობილი, რომ ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას ვერ ვხედავ, ჩვენ თუ რაიმეს შევმატებთ, თორემ კლუბი ყველანაირი კუთხით მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწინავეა. ძალიან დიდ ყურადღებას დავუთმობთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გაზრდას, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეეძლებათ ძირითადი ფეხბურთელების ჩანაცვლება. მოგეხსენებათ, საქართველო მაინც ევროპისათვის ფეხბურთელების „მიმწოდებელთა“ კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა, ჩვენი კონცეფცია ასეთია — თუ ფეხბურთელი საკუთარ შესაძლებლობებს აქ ვერ გამოავლენს სათანადო დონეზე, მაშინ მისი ნაადრევად გაშვება უცხოეთში მართებული არ გახლავთ. ჩვენი შეხედულება ლეგიონერებთან მიმართებაშიც ნათელია — მოწვეული ფეხბურთელი ადგილობრივს ბევრად უნდა აღემატებოდეს. ჩვენი კლუბის ფეხბურთელებს რომ ბევრად სჯობდეს, ასეთები სერიოზულ კლუბებში არიან დაკავებულნი და საქართველოში თამაშზე მათი დაყოლიება ძნელია. ამ მომენტისათვის, კლუბი ლეგიონერების მოწვევას არ საჭიროებს, თუ „ზესტაფონს“ მეტოქეებთან კონკურენცია გაუჭირდება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ უცხოელთა დამატებაზე. გუნდის საფეხბურთო ფილოსოფია არ შეიცვლება, „ზესტაფონს“ აქვს ტრადიცია, კარგი ფეხბურთის ჩვენებით შედეგიც აჩვენოს და ერთგული ქომაგიც გაახაროს. კლუბის მიზანი უცვლელია — მიმდინარე წელსაც ჩემპიონები უნდა გავხდეთ.

**გიორგი ყიფიანი:**

შარშან ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელი ვიყავი. შემდეგ, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ისრაელში რამდენიმე კლუბში დავყავი. ბოლოს, როცა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონისაგან“ ეს შემოთავაზება მივიღე, ფეთახ-თიკვას „ჰაპოელის“ სამწვრთნელო შტაბში გახლდით. ბუნებრივია, მოტივაცია დიდი მაქვს, თან დიდი პატივი გახლავთ ასეთ გუნდში მუშაობა. გიორგის და მე ერთნაირი საფეხბურთო გემოვნება გვაქვს და კოორდინებული მუშაობით, სასურველ შედეგებს მივაღწევთ.

# მესი: „პელეს ნახვა საჭირო არ არის“



ლეო მესი

ამ ბოლო დროს ყველა ბრაზილიელ ვარსკვლავ ნეიმარზე საუბრობს და გასაკვირი არ იყო, როდესაც სადღეისოდ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელ ლეო მესის მასზე დაეკითხენ.

„ბარსელონას“ ფორვარდი ახალგაზრდა ვარსკვლავის თამაშს უმაღლეს დონეზე აფასებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ ნეიმარის თანამემამულე რონალდო, რომელსაც „ბარსელონაშიც“ უთამაშია და მადრიდის „რეალშიც“, უფრო ძლიერი იყო.

— ნეიმარი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. ეჭვგარეშეა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი ძალიან მოიგებს, თუ ის ლა ლიგაში თამაშს დაიწყებს. თუმცა მიმაჩნია, რომ რონალდო მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო თავდამსხმელი იყო, — განაცხადა მესიმ.

ამჟამად ბევრი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ლიონელ მესი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, თუმცა „ბარსელონას“ თავდამსხმელი ასე არ თვლის და საუკეთესოდ თანამემამულე დიეგო მარადონას მიიჩნევს.

— უდავოდ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი დიეგო მარადონაა. მართალია, პელე საქმეში არ მინახავს, მაგრამ ამის აუცილებლობა არ არსებობს, — ძალიან თამამ განცხადებას აკეთებს მესი.

# ესპანური მედია სკანდალს აგორებს

ესპანური პრესა ამტკიცებს, რომ ბრაზილიური ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავი ნეიმარი „რეალის“ ფეხბურთელი გახდება. მათი ინფორმაციით, ფორვარდმა უკვე გააფორმა მომავალი სეზონისთვის ექვსწლიანი კონტრაქტი „სამეფო კლუბთან“ და ხელშეკრულების მიხედვით წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს.

ეს ინფორმაცია კი არც მადრიდული კლუბისა და არც ფეხბურთელის წისქვილზე წყალს არ ასხამს, რადგან მათ თუ ეს ქმედება დაუდასტურდათ, „სანტოსს“ სრული უფლება ექნება „რეალს“ ფიფას სადისციპლინო კომიტეტში უჩივლოს. საქმე ისაა, რომ ფეხბურთელთან კონრაქტის გაფორმებაზე მოლაპარაკების დაწყება მიმდინარე ხელშეკრულების ამოწურვიდან ექვსი თვით ადრეა შესაძლებელი.

თავის დროზე, ამ წესის დარღვევისთვის „ჩელსი“ დაისაჯა. ლონდონურმა კლუბმა გაელ კაკუტა კანონდარღვევით გაიფორმა, რის გამოც წელიწად-ნახევრით აეკრძალა ტრანსფერების განხორციელება, გარდა ამისა, მოთამაშემ დისკვალიფიკაცია მიიღო, კლუბს კი სოლიდური ჯარიმაც დაუწესეს. თუმცა, მოგვიანებით, „არისტოკრატებს“ სატრანსფერო ემბარგო მოუხსნეს.

იმასაც შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ნეიმარმა უარყო რომელიმე უცხოურ კლუბთან კონტაქტი.

# საქართველოს ნაკრებმა ორ წამს ვერ გაუძლო



**საქართველო — მაკედონია 63:65**
**(12:13, 14:16, 18:25, 19:11)**

საქართველო: ცინცაძე (1ქ), მარკოიშვილი (8ქ), სანიკიძე (15ქ,7მ), ვ.ბოისა (4ქ), ფაჩულია, ცქიტიშვილი (20ქ,10ქ), შენგელია (7ქ), ჰეინსი (6ქ), შერმადინი (1ქ), გამყრელიძე (1ქ), ა.ბოისა, ფარღალავა

მაკედონია: მირაკოვსკი, ილიევსკი (6ქ), სოკოლოვი (3ქ), მაკალები (27ქ), ვ.სტოიანოვსკი (8ქ), დ.სტოიანოვსკი (4ქ), სიმონოვსკი, გეჩევსკი (4ქ), ანტიჩი (8ქ,7მ), დიმჩევსკი, ჩეკოვსკი, სამარდინსკი (5ქ,6მ)

მეორე ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი საკმაოდ სიმპათიურ მაკედონიის ნაკრებთან გვქონდა. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საქართველოს ნაკრებს თავისი ლიდერი, ზაზა ფაჩულია რომ ჰყოლოდა. კაპიტნის არყოფნაშიც ჩვენებმა უშელავათო ბრძოლა გაუმართეს მეტოქეს და მხოლოდ ბოლო წამებზე დავმარცხდით.

ზაზა ფაჩულიას არყოფნაში იგორ კოკოშკოვს სასტარტო ხუთეულის გადაკეთება მოუხდა. მაკედონიელებთან მატჩში მოედანზე თავიდან გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ნიკოლოზ ცქიტიშვილი და ვლადიმერ ბოისა გამოჩნდნენ. აქედან ცენტრის მოვალეობას უფროსი ბოისა ასრულებდა.

გუნდის ლიდერის არყოფნა საწყის წუთებში ჩვენებს არ დატყობიათ — ჯერ სანიკიძემ ეფექტურად, შემდეგ კი ცქიტიშვილმა სამქულიანი სროლები ჩააგდეს და ქართველბმა 5-ქულიანი უპირატესობა დაიბევეს. მალევე მაკედონიელებიც გააქტიურდნენ და მეოთხედის შუაში სხვაობა მინიმუმდე დაიყვანეს — 11:10 ქართველთა სასარგებლოდ.

ამის შემდეგ ტაბლოზე დიდი ხნის განმავლობაში „გვალვა“ ჩამოწვა და მხოლოდ მეოთხედის დამთავრებამდე წუთით ადრე მაკედონიის ნაკრები წინ პირველად გავიდა — 11:13. ამას ქართველთა მხრიდან მხოლოდ ერთი ზუსტი საჯარიმო მოჰყვა და მეოთხედი ქულით დავთმეთ.

მცირე შესვენება ჩვენებს არ წაადგათ — ჯერ ანტიჩმა, შემდეგ კი მაკალებმა 3-3 ქულა შესძინეს გუნდს, ხოლო ტაიმის დასრულებამდე 4:30 წუთით ადრე მაკედონიელთა უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია — 14:24.

ქართველები ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და წუთნახევრით ადრე სხვაობა 2 ქულამდე დაიყვანეს. აქვე ტრავმა მიიღო ცინცაძემ და მოედანი დატოვა. საბოლოოდ ტაიმი ჩვენებმა 26:29 წააგეს.

მესამე მეოთხედი კარგად დაიწყეს ჩვენებმა და ცქიტიშვილმა ჯერ გაათანაბრა, ხოლო შემდეგ წინ გაიყვანა საქართველოს ნაკრები — 35:34. თუმცა, შემდეგ შეცდომებს უმატეს და მაკედონიელებმა ქულები ზედიზედ იხვეჭეს, რამაც ბალკანებს 14-ქულიანი უპირატესობა დაუბევა — 38:52.

მეოთხედის დასრულებამდე ჩვენებმა მხოლოდ სხვაობის შემცირება მოახერხეს და დასკვნით ათწუთეულს მინუს 10 ქულით შეხვდით.

ბოლო მეოთხედის დასაწყისი დაცვაში დიდებული გამოდგა — მაკედონიის ნაკრებმა ხუთ-ნახევარი წუთი ქულის აღება ვერ მოახერხა და ამ მონაკვეთში შეტევაში უკეთესად რომ გვეთამაშა, წინ გასვლაც შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ ორ ქულამდე დავიყვანეთ სხვაობა — 52:54. იქვე 10 წამში ორი უხეში შეცდომა და მეტოქე წინ ისევ 6 ქულით გავიდა.

ეს სხვაობა ტაბლოზე დიდხანს დარჩა. ბოლო ორ წუთში კი იმდენი მოვახერხეთ, რომ სხვაობა ისე ორ ქულამდე შევამცირეთ, ხოლო მატჩის დასრულებამდე 16 წამით ადრე ცქიტიშვილმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხა — 63:63.

მაკედონიელთა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, სადაც გადამწყვეტი სროლის უფლება მაკალებეს მიანდეს, მანაც 2 წამით ადრე თავისიანებს არ უმტყუნა და დრამატულ მატჩში გამარჯვება მეტოქეს დარჩა — 63:65.

# ფავორიტები იგებენ — ლიტვა ასქულიანია

**ევრობასკეტის მეორე ეტაპი დაიწყო, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც არის ჩართული. ჩვენი გუნდის თამაშებს ყოველთვის ვრცლად შემოგთავაზებთ, პარალელურად კი მეორე ჯგუფი გვინდა მიმოვიხილოთ, სადაც თითქმის ყველა ფავორიტია თავმოყრილი.**

**გერმანია-ესპანეთი 68:77**
**15:16, 18:20, 22:20, 13:21**

E ჯგუფი ესპანეთისა და გერმანიის დაპირისპირებით დაიწყო. ცხადია, ამ მატჩში ყველაზე საინტერესო დირკ ნოვიცკისა და პაუ გასოლის დუელი იყო, თუმცა თუ გერმანელს სათანადო მხარდაჭერა არ აქვს თამაშებს მარტო ვერ იგებს თამაშებს. ეს პირველ ჯგუფურ ეტაპზე ორი მარცხით გამოჩნდადა. ამჯერად, გერმანელები მართლაც ღირსეულად ებრძოდნენ ტურნირის მთავარ ფავორიტს, მაგრამ გამარჯვებისთვის საკმარისი ესეც არ აღმოჩნდა.

გერმანია მეტოქეს შორს არ უშვებდა, მაგრამ ვერც დაწევას ახერხებდა. ბუნდესნაკრებს თამაშის გადარჩენის ბოლო მცდელობა საფინალო სირენამდე წუთ-ნახევრით ადრე ჰქონდა, როცა ბენცინგმა სამქულიანი ჩააგდო და სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა, მაგრამ სკარიოლოს ტაიმ-აუტის შემდეგ ყველაფერი ისევ თავის ადგილას დადგა. თავიდან პაუ გასოლმა ჩააგდო ორიდან ერთი საჯარიმო, შემდეგ კი ნავაროს გარღვევა დასრულდა ზუსტი ორი ქულით.

ესპანეთმა 77:68 მოიგო და ბაუერმანის გუნდს თითქმის აღარ დარჩა მეოთხედფინალში გასვლის შანსი. გერმანიამ თურქეთსა და ლიტვას უნდა მოუგოს და თან სხვა მატჩებიც მისთვის სასურველი ანგარიშით უნდა დასრულდეს.

**თურქეთი-საფრანგეთი 64:68**
**14:12, 13:19, 17:26, 20:11**

ძალიან დაძაბული გამოვიდა დღის მეორე მატჩი საფრანგეთისა და თურქეთის ნაკრებებს შორის. ფრანგები მეორე ეტაპზე მაქსიმალური ქულებით გადავიდნენ, თურქებს კი მხოლოდ ერთი მოგება აქვთ და ბუნებრივია, ასეთი გრანდებით დახუნძლულ გუნდში მათთვის ნებისმიერ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თურქეთმა კარგად ითამაშა პირველი მეოთხედი და ორი ქულით გავიდა წინ, მაგრამ საფრანგეთმა თანდათან მოიპოვა ინიციატივა და მალე მატჩზე სრული კონტროლი დააწესეს. მეორე მეოთხედის ექვსი ქულით მოგებით, საფრანგეთი დიდ შესვენებაზე 4-ქულიანი უპირატესობით გავიდა, მესამე მეოთხედის ბოლოს კი სხვაობა ანგარიშში 13 ქულა იყო.

„მამლები“ ამ უპირატესობას საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე ინარჩუნებდნენ — 61:48 და თითქოს დაძაბულ ფინალს არაფერი მოასწავებდა, მაგრამ ილიასოვას ორი საჯარიმოთი და თურქოგლუს საშუალო ტყორცნით დაიწყო თურქეთის 13:2 გაქცევა. ფრანგების უპირატესობისგან პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა — იმავე ილიასოვას სამქულიანი შეტევის შემდეგ ანგარიში გახდა 63:61. თამაშის დამთავრებამდე 45 წამი რჩებოდა.

საპასუხო შეტევაში თურქეთმა პარკერზე აიღო ჯარიმა და ფრანგების ლიდერმა ორივე ტყორცნა გამოიყენა — 65:61. სათამაშო რჩებოდა 18 წამი. არსლანმა შორეული ტყორცნა ააცილა, მაგრამ ფარქვეშ ბრძოლაში თურქებმა ივარგეს და ბურთი პრელჯიჩს მიუვიდა, მან კი სამქულიანი არ ააცილა. ფრანგების ერთქულიანი უპირატესობა (65:64) რვა წამით ადრე.

ისევ ჯარიმა პარკერზე და ტონიმ კვლავ უშეცდომოდ ისროლა ორივე თავისუფალი. თურქეთმა ტაიმ-აუტის დროს პრელჯიჩის სამქულიანზე გაყვანა მოითათბირეს, მაგრამ ამჯერად ამ სვლამ არ გაამართლა. იქვე ჯარიმა პარკერზე, რომელმაც მხოლოდ ერთი ჩააგდო, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად — 68:64.

თურქეთმა საკმაოდ ბევრი, 16 შეცდომა დაუშვა და საფრანგეთმა ამის ხარჯზე 16 ქულა მოიპოვა. ორივე გუნდმა ცუდად ისროლა სამქულიანები: თურქებმა 24-დან 5 ჩააგდეს, საფრანგეთმა — 17-დან 4.

**სერბეთი-ლიტვა 90:100**
**24:26, 20:28, 24:24, 22:22**

დღის ბოლო მატჩში ლიტვა თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა სერბეთს. მასპინძლეთაგან ეს გასაკვირიც არ იყო — საკუთარი გულშემატკივარი ერთ პატარა წაფორხილებასაც არ აპატიებს.

ზედიზედ მეორედ მატჩის გმირებად ლიტვის რეზერვისტები მიიჩნიეს. მასპინძელთა სათადარიგო სკამმა 47 ქულა დააგროვა. მათი გამარჯვების მეორე მიზეზი სამქულიანების გამოყენების მაღალი პროცენტი იყო — 20-დან 11, აგრეთვე ფარქვეშ მოგებული ბრძოლა — 34:29.

ლიტვის ნაკრები პირველი გუნდი გახდა მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, რომელმაც სამნიშნა ქულის დაგროვება მოახერხა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. თასი**

| | |
|---|---|
| მურსია-ალავესი | 0:1 |
| ოსპიტალეტი-ლეგანესი | 3:2 |
| დეპორტივო-ხირონა | 5:1 |
| უელვა-ელჩე | 0:2 |
| სენტ ენდრიუ-ორიუელა | 0:1 |
| ალმერია-გვადალახარა | 2:0(დდ) |
| კადისი-ალკალა | 3:1 |
| კარტახენა-ნუმანსია | 0:0 (3:5პ) |
| უესკა-ხერესი | 1:0 |
| ერკულესი-ალკოიანო | 2:1(დდ) |

**ჩეხეთი. თასი**

| | |
|---|---|
| კარლოვი არი-პლზენი | 1:4 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ფილადელფია-ნიუ ინგლენდი | 4:4 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო(გ)-ფიგუირენსე | 1:1 |
| ატლეტიკო(პ)-პალმეირასი | 2:2 |
| კრუზეირო-ფლუმინენსე | 1:2 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-სან მარტინი | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-გერმანია | 77:68 |
| თურქეთი-საფრანგეთი | 64:68 |
| სერბეთი-ლიტვა | 90:100 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედით საიტზე atb.ge

# ბერა ივანიშვილი ქართულ სიმღერას წერს

დასაწყისი მე-12 გვერდზე




სში მონაწილეობის მსურველთა თხოვნის გათვალისწინებით, შეიცვალა კონკურსის პირობები და მასში მონაწილეობის მიღების უფლება 20 წლამდე ნიჭიერ ადამიანებს აქვთ. განსაკუთრებული ხმისა და სმენის ადამიანებს ეძლევათ შანსი, საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობები გამოავლინონ.

— ვეძებთ ნიჭიერ ადამიანებს, რომლებსაც იდეალური სმენა და ხმა აქვთ. გვინდა, 10-20-კაციანი ჯგუფი შევქმნათ, რომელთაც ამერიკიდან მასწავლებლებსა და პროდუსერებს ჩამოვუყვანთ. ეს კონკურსი ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანების საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას გულისხმობს, — ნათქვამია „ჯორჯიან დრიმის“ მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

კასტინგის ბოლო ვადა პირველი ოქტომბერია. ჟიურის წარმომადგენლების ვინაობა კონფიდენციალურია, თუმცა ის უკვე ცნობილია, რომ ბერა ივანიშვილი თითოეულ კონკურსანტს თავად მოუსმენს. მისი სურვილია, რაც შეიძლება ბევრი ნიჭიერი ადაიმანი ჩაერთოს კონკურსში. სამომავლოდ, არ არის გამორიცხული, ამ კონკურსის გამარჯვებულთან ერთად ბერამ დუეტიც კი ჩაწეროს. პირველი ტურის შედეგები ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის გახდება ცნობილი.

„ჯორჯიან დრიმის“ დამფუძნებელი საავტორო სასიმღერო ჟანრის ახალგაზრდა წარმომადგენელი, მუსიკოს-შემსრულებელი ბერა ივანიშვილია. ის ქართული შოუბიზნესის ხელშეწყობას, საკუთარი შემოქმედებითი გეგმების რეალიზაციასა და საერთაშორისო სახელის მქონე მუსიკოსთა ქართველებისთვის გაცნობას სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით გეგმავს.

16 წლის ბერა ივანიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ ცხოვრობს და არ მოღვაწეობს, უამრავი ქართველი ფანი ჰყავს. ამის დასტურია მისი შეხვედრები თბილისელ და ბათუმელ ფანებთან. კინოთეატრ „რუსთაველში“ მან თავის ერთგულ თაყვანისმცემლებს სიურპრიზი მოუწყო და მათ პირადად წარუდგინა ახალი ნამუშევარი სახელწოდებით „ჰიპ-ჰოპ ვალსი“. კლიპის პრეზენტაციაზე მომღერალმა თავის ფანებს მეტი უშუალობა და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა სთხოვა. კლიპის წარდგენის შემდეგ კი მომღერალმა თავის ფანებს საშუალება მისცა, მისთვის ის შეკითხვები დაესვათ, რაც მათ ყველაზე მეტად აინტერესებთ და თავადაც პირობა დადო, რომ ყველას გულწრფელად უპასუხებდა. გოგონების უმეტესობას აინტერესებდა, იყო თუ არა ბერა შეყვარებული, რატომ არ ჩანდა იგი აქტიურად ქართულ შოუბიზნესში. შეხვედრის დასასრულს, კითხვების ამოწურვის შემდეგ, ბერას გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ, მათი კერპისთვის სიმღერები თავადაც შეესრულებინათ. თბილისელ ფანებთან შეხვედრის შემდეგ ბერა უკვე ბათუმს ესტუმრა, სადაც თავის ფანებს შეხვდა და სპეციალურად მათთვის რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

— მინდა ვიყო განსაკუთრებული და საქართველოში მაღალი ხარისხის სიმღერები შემოგთავაზოთ. არსად წასვლას არ ვაპირებ, რადგან ძალიან მიყვარს ქართული მიწა, აქ ყველაფერი მაგარია, ძალიან მაგარი ქვეყანაა. არ დაკვირვებიხართ, ცაც კი სულ სხვანაირია საქართველოში. მე ყველანი მიყვარხართ, ყველაში ვარ შეყვარებული, — ასე ამშვიდებს ბერა თავის ფანებს.

როგორც მომღერალი აცხადებს, მისი მთელი ცხოვრება მუსიკასთან არის დაკავშირებული და თავის ერთგულ მსმენელს მომავალში არაერთ სიახლეს ჰპირდება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერთი წლისაც არ იყო და არც ლაპარაკი და სიარული შეეძლო, უკვე იცოდა, როგორ ირთვებოდა რადიო.

„მუსიკა ჩემი ცხოვრებაა“, — ამბობს დამწყები პოპმომღერალი ბერა, — „მე დაბადებიდანვე მიზიდავდა მუსიკა“. შესანიშნავი სმენით დაჯილდოებულმა 5 წლისამ დაიწყო ვიოლინოზე დაკვრა, ორი წლის შემდეგ კი ფორტეპიანოსაც დაეუფლა. მას კლასიკური მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, თუმცა მუსიკის წერა ჯაზის სიყვარულმა დააწყებინა.

— მე შემიძლია დავუკრა ნებისმიერი სიმღერა, რომელსაც რადიოთი მოვისმენ და მომეწონება“, — ამბობს პარიზში დაბადებული ბერა, რომელიც სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევს. გასაკვირი არც არის, რომ 16 წლის ფენომენით მსოფლიოს ისეთი ძლიერი პროდიუსერები დაინტერესდნენ, როგორებიც არიან რობ ფუსარი და როდნი ჯერკინსი, სწორედ მათი მეშვეობით შედგა მომღერლის საერთაშორისო დებიუტი.

ბერას სურდა, თავისი მომავალი თავადვე წარემართა და სწორედ ამიტომ, გასულ წელს დააარსა საკუთარი ლეიბლი „ქართული ოცნება“, სადაც სადებიუტო ალბომზე მუშაობა მალევე დაიწყო. „ბუნებით მეოცნებე ვარ“, — ასე განმარტავს ბერა საკუთარ ფსევდონიმს, — „ჩემი პირველი სიმღერა სიზმარში დავწერე“.

კარიერის დასაწყისში ბერამ ყველა სიმღერა თავადვე შექმნა. მუსიკალური და ლირიკული თვალსაზრისით, ისინი შეიძლება ორ მიმართულებად დაიყოს — გასართობი, კლუბური, რიტმული სიმღერები და, მეორე მხრივ, მშვიდი, რომანტიკული. მისი პირველი სინგლი „ფეთორიტ სინგს“, რომლის პროდიუსერიც რობ ფუსარია, ზომიერად რიტმულია. ეს სასიყვარულო სიმღერა ბერას ფანებს მისი ინტიმური სამყაროს თანამოზიარეს ხდის.

— მე ძალიან მიყვარს „ფევორიტ სინგს“, ის ჩემს შინაგან სამყაროს გადმოცემს. ყველაფერი, რასაც სიმღერებში ვამბობ, რეალურიდან მომდინარეობს, — ამბობს 16 წლის მომღერალი.

როდნი ჯერკინსის მიერ შექმნილი საკლუბო სიმღერები საცეკვაო ჰიტებია, რომლებიც წარმოაჩენს ბერას, როგორც თვითდაჯერებულ ახალგაზრდას და მის მეტად სენსუალურ მუსიკალურობას. მიუხედავად იმისა, რომ ბერა მხოლოდ 16 წლისაა, მისი შემფასებლების თქმით, ის ჩვეულებრივი მოზარდი არ არის. ასეთ ასაკშიც კი, იგი საოცრად ქარიზმატული, თავდაჯერებული და უსაზღვრო ხიბლით გამორჩეულია. ეს არაჩვეულებრივი სიმღერები ფუსარისთან და ჯერკინსთან ერთობლივი, ფანტასტიკური შრომის შედეგია.

— ჩვენ ჰარმონიული ურთიერთობა გამოგვივიდა. ეს მართლაც კარგი რამ იყო, მათ გარემოში კიდევ უფრო გავიზარდე. შემოქმედებითი თვალსაზრისით ბევრი რამ მასწავლეს, — აცხადებს ბერა.

ბერას შემოქმედებაზე სხვადასხვა ჟანრის მუსიკა ახდენს გავლენას. მას უყვარს ჯაზი, სოული. ფავორიტ ვარსკვლავებად კი თუ ფაქსა და მაიკლ ჯექსონს ასახელებს. უსმენს ბარი ვაითს, ლეიონელ რიჩის და ლენი კრავიტს.

— სიყვარული ჩემი შთაგონების წყაროა, რომელიც ნათლად იგრძნობა ჩემს შემოქმედებაში. ჩემი სიმღერებით ვცდილობ მოვხიბლო გოგონა, რომელსაც მუშაობისას წარმოვიდგენ, თუნდაც ის არ არსებობდეს და სიმღერას სწორედ მას ვუძღვნი. მაშინაც კი, როდესაც ტკივილზე ვწერ, მთავარი თემა მაინც სიყვარულია, — ამბობს მომღერალი.

ბერას თქმით, სიამოვნებით მიიღებდა ყველასთვის საოცნებო „გრემი ავარდს“, თუმცა ამის მიუხედავად, ამბობს, რომ:

— არ მინდა ვიყო სუპერვარსკვლავი, არ მინდა მიუწვდომელი გავხდე. როდესაც ვინმე ჩემზე ან ჩემს მუსიკაზე ფიქრობს, მსურს იღიმებოდეს. მინდა უბრალოდ გგავდეთ თქვენ, შეიგრძნოთ ჩემი მუსიკა და ჩემთან ერთად ისიამოვნოთ ამ მუსიკით. მე მხოლოდ მინდა, რომ ჩემი გრძნობები გაგიზიაროთ.

მიუხედავად იმისა, რომ ბერა ივანიშვილი ჯერ მხოლოდ 16 წლის არის, უკვე ზუსტად იცის, რა უნდა. უნდა ნიჭიერ ადამიანებს გზა გაუკვალოს. ჰყავს პროდიუსერი, მუშაობს ალბომზე, აქტიურად თანამშრომლობს ლედი გაგასა და მაიკლ ჯექსონის პროდიუსერებთან. სამომავლო გეგმების დაკონკრეტება კი არ უყვარს, რადგან ურჩევნია, ყველაფერი შედეგის შემდეგ განაცხადოს, ვიდრე უბრალოდ სიტყვები წამოისროლოს და შემდეგ დაპირება აღარ შეასრულოს.

## ბათუმის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 20 მილიონ ევროს ისესხებენ

ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის მთავრობა 20 მილიონი ევროს ოდენობის სესხს აიღებს. შესაბამისი ხელშეკრულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს შორის არის გაფორმებული და პარლამენტს რატიფიცირებისათვის გადაეგზავნა. აღებული სესხით ბათუმისა და მისი მიმდებარე სოფლების კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება იგეგმება. ხელშეკრულების რატიფიცირება, სავარაუდოდ, პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე მოხდება.

**მედიანიუსი**

## მშობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს

გურჯაანის №1 საჯარო სკოლიდან დაწყებითი კლასის მასწავლებლის ანა მოსიაშვილის გათავისუფლების გამო, მშობლებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იტყობინება.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, დირექტორმა მასწავლებელი სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლა და თუ მას 15 სექტემბრამდე არ აღადგენს, ბავშვებს სკოლაში არ მიიყვანენ.

სკოლის დირექტორი თამარ ოღლიშვილი გათავისუფლებული მასწავლებლის სამსახურში დაბრუნებას არ აპირებს.

— ანა მოსიაშვილის განთავისუფლება კანონიერად მოხდა. მასთან სამწლიანი ხელშეკრულება გვქონდა გაფორმებული, რომელსაც 1-ელ სექტემბერს ვადა გაუვიდა. პედაგოგს გათავისუფლების ბრძანება უკვე გადავეცით და მისი აღდგენა სკოლაში აღარ მოხდება. სკოლისთვის ასე ვთვლით საჭიროდ,—- აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

ანა მოსიაშვილთან ერთად სკოლის დირექტორმა სამსახურიდან დაწყებითი კლასების კიდევ ერთი მასწავლებელი იზა ბეჟიაშვილიც გაათავისუფლა. ბეჟიაშვილის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს. უფლებადაცვითი ორგანიზაცია სკოლის დურექტორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს

**პრაიმ-ნიუსი**

## ვაშაძე იტალიის ახლად დანიშნულ ელჩს შეხვდა

საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ გუშინ იტალიის რესპუბლიკის ახლად დანიშნული ელჩი საქართველოში ფედერიკა ფავი მიიღო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და იტალიას შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები განიხილეს.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა ელჩს იტალიის მიერ საქართველოსთვის გაწეული მხარდაჭერისთვის და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. თავის მხრივ, იტალიის ელჩმა გამოხატა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს ორ ქვეყანას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას.

**ინტერპრესნიუსი**

## „ბორჯღალოსნებმა“ ახალ ზელანდიაში ვერტმფრენით კურდღელზე ინადირეს

„ბორჯღალოსნებმა“ ახალ ზელანდიაში ვერტმფრენით კურდღელზე ინადირეს. ახალ ზელანდიაში მყოფი საქართველოს ნაკრების მორაგბეები ქვინზთაუნთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ვანაკაში, ბარბექიუზე მიიწვიეს.

ფერმერებით დასახლებულ ქალაქში „ბორჯღალოსნები“ ორად გაიყვნენ. ნაწილმა იქვე ტბაზე, ნავებით სეირნობა და თევზის ჭერა გადაწყვიტა, მეორე ჯგუფმა კი კურდღლებზე ნადირობა არჩია.

ჩვენი გუნდის წამყვანი მოთამაშეების ნაწილმა ფეხდაფეხ, ნაწილმა კი პატარა ვერტმფრენით კურდღლებზე ინადირა.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ოქრო 40 პროცენტით გაძვირდა



მსოფლიო ბაზარზე ოქროს გაძვირება გრძელდება. „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე მისი ფასი ერთ უნციაზე რეკორდულად 1920,25 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ნიუ-იორკის ბირჟაზე კი 2010 წლის დეკემბრიდან დღემდე ერთი უნცია ოქროს ღირებულება 25 პროცენტით გაძვირდა და 1923,10 აშშ დოლარი შეადგინა. ანალიტიკოსების პროგნოზით, მიმდინარე წლის ბოლოსთვის ოქრო, შესაძლოა, 2 000 დოლარამდე გაძვირდეს.

როგორც „მედიანიუსს“ ეკონომიკის ექსპერტმა რევაზ საყევარიშვილმა განუცხადა, მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, საქართველოში ბოლო პერიოდში ერთი გრამი ოქროს ფასი 40 პროცენტით გაიზარდა.

— ოქრო კვლავ განაგრძობს გაძვირებას — იმ ფონზე, როცა სხვა ვალუტა ან აქციზი, რომელშიც ადამიანები დანაზოგებს ინახავენ ან ინვესტირებას ახდენენ, არ არის ისეთი მყარი, როგორც ამ ეტაპზე ოქრო გამოიკვეთა. დოლარისა და ევროს კურსის რყევები, ასევე სხვა ვალუტებზე არსებული არასტაბილური გარემო ინვესტორებს უბიძგებს, რომ მათ თავიანათი სახსრები ოქროში დააბანდონ. საქართველოსათვის ოქროს გაძვირება ერთი მხრივ კარგია, რადგან იგი ქვეყნის საექსპორტო პროდუქტია და საექსპორტო ჩამონათვალში თავის ადგილს მუდმივად იკავებს. მისი ფასის მატება იმას მიუთითებს, რომ გაზრდილია როგორც მისი მწარმოებელი საწარმოს, ისე ქვეყნის შემოსავლები, — ამბობს საყევარიშვილი.

ექსპერტის განცხადებით, ოქროს გაძვირება სხვა პროდუქციის ფასებზე გავლენას ვერ მოახდენს.

— თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ოქროში საკუთარი სახსრების თუ საინვესტიციო რესურსის დაბანდების პრაქტიკას საქართველოში, ნაკლებად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ეროვნულ ბაზარზე ფასების ჩამოყალიბების პროცესზე გავლენას მოახდენს. იგი საერთაშორისო ვაჭრობის პროდუქტია და საერთაშორისო ღირებულება მასზე მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს, — აღნიშნა რევაზ საყევარიშვილმა.

**მედიანიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 2. გამოძახილი ანუ ...; 3. უცხოური ვალუტის კურსის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ვიწრო, ღრმა ორმო; 5. ყოველმხრივ უზრუნველი მდიდრული ცხოვრება; 6. უბანი თბილისში; 7. ინგლისელი მწერალი; 10. ქართული ფული; 11. ძველებური ქართული ლექსის ფორმა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. ტბა ჩრდილო იტალიაში; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. ქართველი კომიკოსი; 21. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 24. ტყის გარეული ხარი.

**თარაზულად:** 1. ფირდოუსის ეპიკური პოემა; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. პროვინციის მმართველი თურქეთში; 14. მუზეუმი მადრიდში; 15. უკრაინული ლუდი; 17. სუფთა გამარჯვება ჭიდაობაში; 20. მალის დედაქალაქი; 22. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 23. დიპლომატიური კურიერის სპეციალური, დალუქული ხელჩანთა; 25. ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 26. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 27. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 28. კონგოს დედაქალაქი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იედო; 2. ონი; 3. ალარმისტი; 4. ჰიჯრა; 5. კატანია; 8. ბუკე; 9. ჭიკარტი; 10. გენეტიკა; 12. მცხეთა; 13. ნეონი; 15. შაორი.

**თარაზულად:** 1. ინტალიო; 6. გლიპტიკა; 7. დუბნა; 10. გურია; 11. აკინი; 13. ნურიე; 14. კოშმა; 16. ებრო; 17.იქთიოლი; 18. სტრიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხატწერა; 2. სფერო; 3. დინამიტი; 4. გოდერძი; 5. სალვადორი; 9. „გლაქსო“; 12. ბარტოკი; 14. ავუარი; 15. ეტლი; 17. მაცნე; 18. „ჯანი“.

**თარაზულად:** 6. ზარაფი; 7. ბიოლოგია; 8. მწყერი; 10. „ბრერა“; 11. ჰაუპტვახტი; 13. პამპერსი; 16. ლაქშმი; 19. ავტობანი; 20. პიტიუნტი.

# საქართველოს კონკურენტუნარიანობა ხუთი საფეხურით გაიზარდა




მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებულ 2011-2012 წლების კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველო 88-ე ადგილზე აღმოჩნდა, ამასთან, შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა ხუთი ადგილით გაიუმჯობესა.

კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ყოველწლიურად 1979 წლიდან დგება და მისი შედგენისას ღია წყაროებში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, გარდა ამისა, 100-ზე მეტი ქვეყნის რამდენიმე ათასი ექსპერტის მოსაზრებას ითვალისწინებენ.

მსოფლიო საერთაშორისო ფორუმი აღნიშნავს, რომ რეიტინგის შედგენის მიზანი სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების უპირატესობების და მათი განვითარების შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენაა.

პირველ ადგილზე კვლავინდებურად შვეიცარია იმყოფება. მას სინგაპური მოსდევს, რომელმაც წელს მესამეზე გასულ შვედეთს გაუცვალა ადგილი. მეოთხე ადგილზეა ფინეთი, რომელმაც მდგომარეობა სამი საფეხურით გაიუმჯობესა.

მეხუთე ადგილზე გასული აშშ შარშან მეოთხე იყო. ერთი საფეხურით ჩამოიქვეითა გერმანიამაც, რომელიც წლეულს მეექვსე ადგილზეა. მეშვიდე და მერვე ადგილზე გასულმა ჰოლანდიამ და დანიამ შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა თითო პოზიციით გაიუმჯობესეს, მეცხრე ადგილზე გასულმა იაპონიამ კი სამი საფეხურით ჩამოიქვეითა. პირველ ათეულში მოხვდა აგრეთვე დიდი ბრიტანეთი, რომელმაც შარშანდელთან შედარებით ორი საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა.

როგორც დოკუმენტში არის ნათქვამი, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებს ძლიერ კონკურენციას უწევენ განვითარებადი ქვეყნები, მსოფლიო ეკონომიკის კრიზისმა კი ამ ტენდენციას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი.

ამ ტენდენციის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ხუთიდან ოთხი ქვეყანა, რომლებმაც ყველაზე ძლიერ დაიკლეს რეიტინგში, აშშ, საბერძნეთი, ირლანდია და ისლანდია, განვითარებული სამყაროს წარმომადგენელია. მეხუთე ქვეყანა აფრიკის ყველაზე ჭარბდასახლებული ნიგერიაა.

განვითარებადი ქვეყნებიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკულმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს.

კონკურენტუნარიანობის ყველაზე მეტი ზრდა აჩვენეს აზიის ქვეყნებმა, შემდეგ მოდიან ცენტრალური და აღმოსავლეთ ეროპის, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ჩრდილოეთის ქვეყნები.

ჩინეთი, რომელიც 2010 წელს ეკონომიკის მოცულობის მიხედვით მეორე ადგილზე გავიდა და იაპონია უკან ჩამოიტოვა, კონკურენტუნარიანობის მიხედვით 26-ე ადგილზე იმყოფება.

ყოფილი სსრკ რესპუბლიკებს შორის ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტებმა ესტონეთი მიიჩნიეს. იგი 33-ე ადგილზეა და შარშანდელს აქეთ მდგომარეობა არ შეუცვლია. შემდეგ მოდის ლიტვა, — 44-ე ადგილი, რომელიც შარშან 47-ზე იყო. აზერბაიჯანი 57-ე ადგილზეა და შარშანდელთან შედარებით ორი საფეხურით გაიუმჯობესა პოზიცია.

რუსეთმა კონკურენტუნარიანობის რეიტინგში შარშანდელთან შედარებით სამი საფეხურით დაიკლო და 66-ე ადგილზე აღმოჩნდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთში მაკროეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას თან ახლავს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის გაუარესება, შრომის ბაზრის ეფექტურობის კლება, აგრეთვე ბიზნესის ინოვაციური შემადგენლის გაუარესება.

ექსპერტების აზრით, მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭიროა კანონების აღსრულებადობის გაზრდა, სასამართლო სისტემის საქმიანობის გაუმჯობესება, საკუთრების უფლების დაცვა, აგრეთვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უსაფრთხოების გაზრდა.

გარდა ამისა, რუსეთის ნაკლად მიიჩნევენ აგრეთვე საბანკო სისტემის არასტაბილურობას.

რუსეთის შემდეგ მოდის ყაზახეთი, რომელიც როგორც წელს, ასევე შარშან 72-ეა. უკრაინამ შვიდი საფეხურით აიწია და 82-ე ადგილზე გავიდა.

საქართველო, როგორც უკვე ითქვა, 88-ე ადგილზეა და მისი კონკურენტუნარიანობა გასულ წელთან შედარებით 5 საფეხურით გაუმჯობესდა. მისი მეზობლები რეიტინგში არიან ალჟირი (87) და ლიბანი (89).

სომხეთმა შარშანდელთან შედარებით 6 საფეხურით გაიუმჯობესა პოზიციები და 92-ე ადგილზე გავიდა, მოლდავეთი შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა, 93 ადგილზე ავიდა.

ბელორუსია, თურქმენეთი და უზბეკეთი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგში არ ფიგურირებენ.

# ჰოკეისტთა გუნდის თვითმფრინავის კატასტროფას მხოლოდ ორი ადამიანი გადაურჩა



იაროსლავლის მახლობლად, იაკ-42 ტიპის თვითმფრინავის კატასტროფის ადგილას ნაპოვნია ყველა დაღუპულის გვამი. თვითმფრინავი ტუნოშნას აეროპორტიდან აფრენის შემდეგ მალევე ჩამოვარდა. თვითმფრინავში ჰოკეისტთა გუნდი „ლოკომოტივი" იმყოფებოდა, რომელიც მინსკში ადგილობრივ „დინამოსთან" მატჩზე მიემგზავრებოდა.

თვითმფრინავში სულ 45 ადამიანი იმყოფებოდა, „ლოკომოტივის" 37 წარმომადგენელი და ეკიპაჟის 8 წევრი.

„ლოკომოტივი" რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი საფეხბურთო კლუბია. იგი სამჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი 1997, 2002 და 2003 წლებში.

თვითმფრინავში მყოფთაგან ორნი გადარჩნენ, ბორტინჟინერი ალექსანდრ სიზოვი და ჰოკეისტი ალექსანდრ გალიმოვი. იაროსლავლელი ექიმები გალიმოვის გადარჩენას ცდილობენ, მისი მდგომარეობა ძალიან მძიმეა.

მას დამწვარი აქვს სასუნთქი გზები და სხეულის 90%, დაშავებული აქვს აგრეთვე მარცხენა ფილტვი და თირკმლები. ექიმებმა მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს.

ალექსანდრ სიზოვი უფრო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება.

ჯერჯერობით არ უპოვიათ დამსხვრეული თვითმფრინავის „შავი ყუთები", ავარიის მიზეზების შესახებ არაფერია ცნობილი.

ავარიის მიზეზების ერთ-ერთ ძირითად ვერსიას წარმოადგენს ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა. იხილავენ აგრეთვე სხვა ვარიანტებს, მათ შორის აფრენისას პილოტების მიერ დაშვებული შეცდომის ვერსიას.

გარდა ამისა, ექსპერტების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ ავარიის მიზეზი თვითმფრინავის უხარისხო საწვავით გამართვა შეიძლება ყოფილიყო.

მათი ვარაუდის თანახმად, აფრენის შემდეგ თვითმფრინავმა სათანადო სიჩქარე ვერ განავითარა და ჩამოვარდა.

თვითმხილველების თქმით, აფრენის შემდეგ თვითმფრინავი მარცხენა მხარეს გადაიხარა და ასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა. ეს ჩვენება მისცა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა, რომელმაც ტრაგედია 400 მეტრით დაშორებული აგარაკიდან დაინახა.

მან ასევე განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე 3 წუთის შემდეგ გაჩნდა და აფეთქების შედეგად დაშავებულ მეთევზეებს დაეხმარა.

თვითმფრინავის ნამსხვრევები მდინარე ტუნოშნაში ჩაცვივდა.

„ლოკომოტივის" დამწუხრებულმა გულშემატკივრებმა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე მარშით ჩაიარეს.

„ლოკომოტივში" არაერთი უცხოელი მოთამაშე იყო. შვედეთის საელჩომ უკვე დაადასტურა შვედი მეკარის, სტეფან ლივის დაღუპვა. ლივი შვედეთის ნაკრების ძირითადი მეკარე იყო.

თავიანთი მოქალაქეების დაღუპვა დაადასტურეს აგრეთვე ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, გერმანიამ. სავარაუდოდ, დაღუპულთა შორის სამი უკრაინელი მოქალაქეც არის.

# ჩინელი მილიარდერების სიას სათავეში მრეწველი ბიზნესმენი ჩაუდგა


ლიან ვენგენი
Getty

ჩინეთში სამშენებლო სპეცტექნიკის მწარმოებელი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ლიან ვენგენის ქონებამ 11 მილიარდ დოლარს მიაღწია და იგი ჩინეთის უმდიდრესი ბიზნესმენების სიას სათავეში ჩაუდგა.

ჩინეთში სასმელების უდიდესი მწარმოებელი კომპანიის „ვაჰაჰას" მფლობელმა ძუნ ცინჰოუმ 10.7 მილიარდი დოლარით მეორე ადგილზე ჩამოინაცვლა.

მესამეზეა ინტერნეტ-გიგანტის ბაიდუს მფლობელი რობინ ლი იანჰუნი. ეს კომპანია ჩინეთის ინტერნეტის საძიებო სისტემების ბაზრის სამ მეოთხედს აკონტროლებს.

რეიტინგის ავტორების მიუხედავად, გლობალური კრიზისის მიუხედავად, 2011 წელი ჩინელი მილიარდერებისათვის რეკორდული წელი გახდა. მილიარდერების რიცხვი ორი წლის განმავლობაში ჩინეთში ორჯერ გაიზარდა, გასულ წელთან შედარებით კი ერთი მესამედით.

რეიტინგის ავტორები მილიარდერების რიცხვის ზრდას სამშენებლო ბიზნესის ბუმით და საცალო ვაჭრობის განვითარებით ხსნიან.

ბოლო დროს ჩინეთის ხელისუფლები ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელების მიზნით გარკვეულ ზომებს იღებენ, თუმცა ანალიტიკოსები მთავარ საფრთხედ უძრავი ქონების ბაზრის „ბუშტის" გასკდომას მიიჩნევენ.

რეიტინგის ავტორების აზრით, ჩინეთის მილიარდერების რიცხვი 600-ს შეიძლება აღწევდეს. მიუხედავად სწრაფი ზრდისა, ჟურნალ ფორბსის მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეულში ჯერჯერობით არც ერთი ჩინელი არ არის. მიმდინარე წლის მარტში გამოქვეყნებულ ფორბსის რეიტინგში უმდიდრესი ადამიანების ათეულში ოთხი ამერიკელია, ყველაზე მდიდარ ადამიანად კი მექსიკელი მაგნატი კარლოს სლიმი მიიჩნიეს, რომლის ქონება ფორბსმა 74 მილიარდ დოლარად შეაფასა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# კრკიჩი „ბარსას" მიტირის


ბოიან კრკიჩი

ბოიან კრკიჩი „ბარსელონადან" „რომაში" ახლახან გადავიდა, იტალიის ჩემპიონატი კი არ დაწყებულა და „ჯალოროსის" შემადგენლობაში ჯერ ერთი ოფიციალური მატჩიც არ ჩაუტარებია, მაგრამ კატალონიური გრანდი უკვე ძალიან ენატრება.

21 წლის თავდამსხმელი, რომელიც „ბარსას" აღზრდილია, რომში თავს ცუდად არ გრძნობს, მაგრამ ამბობს, „ბარსელონა" სულ სხვა იყო და „ნოუ კამპს" ვერაფერი შეედრებაო. კრკიჩი იმასაც აღიარებს, „ბარსაში" სათამაშო პრაქტიკა რომ მქონოდა, არასდროს არსად გადავიდოდიო.

— „ბარსელონადან" ყველაფერი მენატრება, აბსოლუტურად ყველაფერი! მენატრებიან ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, მეგობრები და ყველა, ვისაც „ბარსასთან" რაიმე შეხება აქვს. ზუსტად ვიცი, რომ ნოსტალგიის განცდა არც არასდროს დამტოვებს. დღესდღეობით მსოფლიოში არ არსებობს კლუბი, რომელიც „ბარსელონასთან" თუნდაც ახლოსაა. „ბარსას" ყველაფრის მოგება უნდა და შეუძლია. „რომაც" ძალიან კარგი, ამბიციური გუნდია და ქალაქზე ალარაფერს ვამბობ — იტალიის დედაქალაქი გენიალურია, მაგრამ „ბარსელონა", კლუბიც და ქალაქიც, პირადად ჩემთვის სულ სხვაა, — ამბობს ახალგაზრდა ფეხბურთელი.

თუმცა, კრკიჩისთვის „ბარსელონა" უკვე წარსულია და ახლა მთლიანად რომაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. 11 სექტემბერს კი ალბათ მისი რომაული დებიუტიც შედგება — „ოლიმპიკოზე", „კალიარისთან" პირველ კალენდარულ შეხვედრაში.

ცხადია ამავე მატჩისთვის ემზადება „რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიც, რომელმაც ჩემპიონატის სტარტამდე თავის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. მისი თქმით, გუნდი მთავარ მწვრთნელს გვერდში უნდა ამოუდგეს.


ფრანჩესკო ტოტი

— ამჟამად სეზონი უფრო გვიან დაიწყება. როგორც ყველა, მეც წარმატებულ გამოსვლას ველოდები. როგორც იქნა, გუნდი ბოლომდე შეიკრიბა და ფეხბურთელები ნაკრებებიდან დაბრუნდნენ. ბევრი ახალწვეული გვყავს, ამიტომ მთავარ მწვრთნელს უნდა დავუჯეროთ. ყველამ უნდა გაიგოს, რომ დიდი მიზნისკენ სწრაფვას მხოლოდ ერთად ყოფნით შევძლებთ, — განაცხადა ტოტიმ.

**მ. ჟ.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 9 სექტემბერი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "დაკარგული კიდობნის ძიებაში" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **08.30** ან. ფილმი **"კუნძულეთი"** **11.30** **რაგბი**. მსოფლიო თასი. საზეიმო გახსნა **12.30** **რაგბი**. მსოფლიო თასი. ახ. ზელანდია - ტონგა **13.30** ავტოპილოტი **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **16.00**, **20.00**, **02.45** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის"** **21.50** **კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მე-2 ჯგუფური ეტაპი **23.50** წითელი ზონა **00.50** მხ. ფილმი **"ეს იწყება დღეს"** (სუბტ.) **02.55** მოამბე **03.15** მხ. ფილმი **"აფიორა"** (სუბტ.) **04.50** **რაგბი**. მსოფლიო თასი: შოტლანდია-რუმინეთი.

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17.45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00**, **16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ოჯახური გეგმა"** **01.00** მხ. ფ. **"ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი"**

**08.00** კურიერი **08.25** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **09.00** სერ. **"კლუბი"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **20.00**, **21.00**, **04.30** კურიერი **12.30** სერ. **"მაშველები"** **13.30** ქართ. ფ. **"პასპორტი"** **15.40** პროფილი (გან.) **18.45** ამერიკის სასაცილო ვიდეოები **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (გან.) **23.00** თქვენი შოუ (გან.) **00.00** მელომანია (გან.) **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **02.30** ქრონიკა **09.15** ან. ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. **"ჰანა მონტანა"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** "გოლდენ ტალანტი" **00.00** იუმორინა (გან.) **01.00** ფლეიბოი იმედზე **01.30** მხ. ფ. **"სიცილიური კლანი"** (ა. დელონი) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი **"ქალები"** (**12**) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **11.00** ანიმაცია "შეჰერაზადა" **12.00**, **15.15**, **17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა"** **13.00** მხ. ფილმი **15.30** დოკ. ფილმი "ტაიმსლოტი-დრამა" **16.00** გუნდი **17.10** სერ. **"ტყუპები"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30**, **23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადრიდე"** **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50**, **21.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30**, **19.35** სერ. **"შექსპირიადა"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** განთიადი **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადიღებს"** **13.30** კონცერტი – ნუნუ დულაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"მწვერვალი"** **17.00** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **17.25** ნიამორი **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"კუკარაჩა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ჯიხეთი, დედათა მონასტერი" **00.30** განფიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე **01.55** დოკ. ფილმი "ადილა"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# სამგლოვიარო განცხადებები

დედა ნათელა გვილავა, დეიდები ნელი და ეთერ გვილავები, ბიძა ალექსი ხოჭავა, დეიდაშვილები გია, ქეთინო, თამრიკო ჯოხთაბერიძეები, მანანა ხოჭავა, ბიძაშვილები ყარამან, ნელი, ზინა, ომარ ხურციძეები, მამიდაშვილები თამარ, ქეთევან, გური გოგუაძეები, ანგელინა, ჯულიეტა კოსტავები, ნაზი, თამაზ გაბელაიები იუწყებიან

**ლევან ხურციძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 9, 10 სექტემბერს.

დაკრძალვა: 11 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას I ჩიხი, V კორპუსი, II სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**9 სექტემბერი**

აშშ დოლარი — 1,641

ევრო — 2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისთვის**

**დასავლეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 28-32, ღამით — 14-16

**აღმოსავლეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-31, ღამით — 18-17

**სამხრეთ საქართველო,** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 28-39, ღამით — 7-14





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი

**გუმბათი**

**ნუგზარ ჯულელი: „10 წელია ყოველ დილით მამადავითზე წირვას ვესწრები“**

**გურამ ფირცხალავა: „ამ სიბერეში ფული შემძულდა“**

**თამარ ურუშაძე: „ჟურნალისტმა აბსოლუტურად ყველა სფეროში შეიძლება იგრძნოს თავი კომფორტულად“**





# დიდი ტრაგედია ჰოკეის სამყაროში

სპორტულ სამყაროს ბევრი საშინელი კატასტროფა ახსოვს, მათ რიცხვს კიდევ ერთი მიემატა — რუსეთში ჰოკეის ლიგის საუკეთესო კლუბი, რუსეთის სამგზის ჩემპიონი იაროსლავის „ლოკომოტივი“ მინსკში პირველი ტურის ჩასატარებლად მიემგზავრებოდა, მაგრამ თვითმფრინავმა აფრენიდან 500 მეტრის შემდეგ კატასტროფა განიცადა.

თვითმფრინავმა საკმარისი სიმაღლე ვერ აკრიფა, შუქურას ანტენას წამოედო და შუაში გადატყდა — ნახევარი მიწაზე დაენარცხა, მეორე ნახევარი მდინარე ვოლგაში ჩავარდა, რასაც მაშინვე ხანძარი მოჰყვა. სალონში „ლოკომოტივის“ 37 წევრი იმყოფებოდა — მოთამაშეები და მწვრთნელთა შტაბი.

ბოლო ინფორმაციით, კატასტროფას ერთადერთი ჰოკეისტი გადაურჩა — რუსეთის ნაკრების წევრი ალექსანდრ გალიმოვი, მაგრამ ის კრიტიკულ მდგომარეობაშია. მოთამაშე სხეულის 80-პროცენტიანი დამწვრობით რეანიმაციაშია მოთავსებული. ექიმები დამაიდებელ პასუხს გუშინ სალამომდე ვერ იძლეოდნენ.

ნანახია შავი ყუთიც, რომელიც მყვინთავებმა აღმოაჩინეს. ის თვითმფრინავის კუდშია, იმ ნაწილში, რომელიც წყალში მოხვდა და ასევე გუშინ, სალამომდე მისი ამოღება უკვე შესაძლებელი იქნებოდა.

თვითმფრინავი — „იაკ-42“, რომლითაც „ლოკომოტივი“ ბელარუსის დედაქალაქში მიფრინავდა, 1993 წელს იქნა ჩაშვებული ექსპლუატაციაში. **მ. ჟ.**



## იუმორი



უფროსმა მდივანი შინ მიიწვია და ეუბნება:

— თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, ჩემი ცოლი შვეიცარიაში წავიდა, თხილამურებით სასრიალოდ.

მდივანი ეუბნება:

— ვაი, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები შინ დამრჩა.

— ნუ დარდობ, ჩემს ცოლსაც აქვს და ახლავე მოგცემ.

უჯრა გამოაღო, სახე შეეცვალა და წამოიძახა:

— უჰ შენი, იმ კახპას თან წაუღია...

***

ახალგაზრდა ვაჟი ავად გახდა, შეყვარებულმა სანახავად მიაკითხა. პალატასთან თეთრხალათიანი ქალი დაინახა და ეკითხება:

— უკაცრავად, შეიძლება ავადმყოფი რომ ვნახო?

— თქვენ მისი ვინ ბრძანდებით?

— მისი და ვარ.

— მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, მე დედამისი ვარ.

***

— ზოგიერთი ქალისათვის საქორწინო ბეჭედი მამაკაცის თითზე მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მამაკაცი სერტიფიცირებულია...

***

— ყველაფერს აქვს თავისი პლუსები. ამას წინათ აგარაკი დამეწვა, ქალაქგარეთ... ახლა მთელი სარდაფი შემწვარი კარტოფილი მაქვს... **გ. თ.**

# ბერა ივანიშვილი ქართულ სიმღერას წერს

ეკა ირემაშვილი

ქართულ შოუბიზნესში ახალგამოჩენილი მომღერალი ბერა ივანიშვილი, რომელიც ცნობილი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის ვაჟია, საქართველოშია. ის ხმის ჩამწერ სტუდიაშია შეკეტილი და ახალ სიმღერებს წერს. უცხო ენაზე მომღერალმა ბერამ გადაწყვიტა თავის უცხოენოვან მუსიკალურ რეპერტუარში ქართული სიმღერაც შეიტანოს. საკუთარ ხმის ჩამწერ სტუდიაში ბერა ახალ კომპოზიციებზე მუშაობას უახლოეს მომავალში დაასრულებს.

როგორც მომღერლის პრესსამსახური ავრცელებს ინფორმაციას, ქართულენოვანი სიმღერის ჩაწერის შემდეგ, ბერა მასზე კლიპის გადაღებასაც გეგმავს. მიუხედავად იმისა, რომ 16 წლის მომღერლის სამომავლო გეგმები მსოფლიო შოუბიზნესს უკავშირდება, ის ქართულ შოუბიზნესშიც აპირებს თავისი სიტყვა თქვას და თავის ნიჭიერ კოლეგებს მხარშიც ამოუდგეს.



ქართველ მომღერალს გადაწყვეტილი აქვს, ნიჭიერ, ახალგაზრდა მომღერლებს შოუბიზნესში გზა გაუკვალოს. სწორედ ამიტომ, მის მიერ დაარსებული კომპანია „ჯორჯიან დრიმ“ (ქართული ოცნება) კონკურსს აცხადებს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე პოტენციალის გაზრდის მიზნით, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსებისთვის დაარსდა. კონკურ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თქვენი დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ

**ტესტი**



***1. მიგაჩნიათ თუ არა კრიტიკა ხარვეზების აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებად.***

ა. დიახ. ბ. კრიტიკა მხოლოდ ართულებს ურთიერთობებს. გ. კრიტიკა დასაშვებია, ოღონდ ხანდახან.

***2. თქვენი დამოკიდებულება საჯარო კრიტიკის მიმართ?***

ა. აუცილებელია. ბ. საჯარო კრიტიკას პირადი შეხვედრისას შენიშვნებს ვამჯობინებ. გ. „კულუარულ“ კრიტიკას ვამჯობინებ.

***3. შეიძლება თუ არა ხელმძღვანელობის გაკრიტიკება.***

ა. დიახ. ბ. არ ღირს ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვა. გ. შეიძლება, მაგრამ იშვიათად.

***4. კრიტიკული შენიშვნებისას თუ ცდილობთ მის „დატკბობას“ დადებითი მომენტების აღნიშვნით.***

ა. დიახ. ბ. არა, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. გ. თუ ცუდად იცნობთ კრიტიკის ობიექტს, მხოლოდ მაშინ.

***5. თუ ცდილობთ კრიტიკის დოზირებას.***

ა. მხოლოდ ერთ ნაკლს აკრიტიკებთ. ბ. აკრიტიკებთ ყველაფერს, რაც თქვენი აზრით, გასაკრიტიკებელია. გ. ცდილობთ განსახილველი საკითხით შემოიფარგლოთ.

***6. გაღიზიანებთ თუ არა კრიტიკა.***

ა. დიახ. ბ. არა. გ. გააჩნია, ვინ მაკრიტიკებს.

**პასუხები შეაფასეთ: ა. 1 — ქულა. ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.**

**6-10 ქულა:** კრიტიკა პროფესიული საქმიანობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად მიგაჩნიათ, ყოველთვის ცდილობთ თქვენი საქმიანობის შესახებ კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებას და მათგან „რაციონალური მარცვლის“ გამოყოფას.

**11-14 ქულა:** თქვენ კრიტიკისადმი შემწყნარებლობას იჩენთ, მისაღებ ელემენტად მიგაჩნიათ, თუმცა არც მის მნიშვნელობას აფასებთ გადაჭარბებით. თქვენი კრიტიკული გამოსვლები შეიძლება შევაფასოთ, როგორც კონტროლირებადი ემოციურობა.

**15-18 ქულა:** თქვენი დამოკიდებულება კრიტიკისადმი უარყოფითია, არ გიყვართ, როდესაც გაკრიტიკებენ, ხოლო როდესაც სხვებს აკრიტიკებთ, ზომიერება გღალატობთ.

**გ. თ.**

# ასტროპროგნოზი 9 სექტემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა.**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — ეს დღე ახლობლებს დაუთმეთ, მათ დახმარება სჭირდებათ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, გაგიმართლებთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — მოერიდეთ რთულ სიტუაციას, გართულება არაფერში გჭირდებათ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. წყლის დიდი სივრცე ოკეანის ნაწილი; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 8. სასიძო ქორწილში; 9. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 10. ტბა სამხრეთ საქართველოში; 12. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 15. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში.

**თარაზულად:** 1. ზუს მეორე სახელწოდება; 6. ქალაქი კახეთში; 7. გზისპირას პატარა რესტორანი ესპანეთში; 10. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 11. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 13. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 16. ცხენების ჯოგი; 17. დიპლომატიურ შეხვედრებზე მიღებული მოქცევისა და ურთიერთობის წესები; 18. სია-ჩამონათვალი რაიმეს მიღება-გადაცემის შესახებ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი